რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 28 დეკემბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 226 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 226

გულ-მოკლულნი მშობლები ქურთუბაძეები შვილებით: იუსტინე, კეკელა და თამარით, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 25 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 6 იანვრამდე ყოველ-დღე გადახდილ იქნება ქ. ლანჩხუთში, წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი

**ნიკოლა და ლუკას**

სულის მოსახსენებლათ.

უდროოთ გარდაცვალებულის

**სიმონ სამსონის ძე პაიჭაძის**

განუსაზღვრელად დამწუხრებულ მშობლების ცრემლებს და გოდებას ვუერთებთ ჩვენს ულრმეს მწუხარებას და ცრემლებს. ამასთანავე გამოვსთქვამთ მწუხარებას, რომ ვერ დავესწარით საყვარელ ბიძაშვილის დასაფლავებას და გამოთხოვებას ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების და გარდაცვალების დროზე გაუგებლობის გამო. **ნიკო და ნინიჩკა პაიჭაძეები.**

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ივანე ალექსანდრეს ძე ხახუტაშვილი, დედამთილი მარიამ დავითის ასული, რძალი ნატალია ლევანის ასული, ძმები: დიანოზ და გიორგი ცისკარაშვილები, დები: მართა ხუციშვილისა და სიდონია მერკვილაძისა, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს, რომ ხუთშაბათს 28 დეკემბერს დილის 11 საათზე თფილისში, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის

**ნინა ნიკოლოზის ასულის ხახუტაშვილის**

სულის მოსახსენებლათ, ამავე დღეს წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება სოფელ გურჯაანში და ქალაქ სიღნაღში.

ნავთლუღის სასურსათო პუნქტი იწვევს მუშებს

**ფურნეებში სამუშაოთ**

და აგრეთვე სხვა საოჯახო საქმეთა საჭიროებისათვის.

ჯამაგირი ექნებათ 100 მან. და ას მანეთზე მეტიც, ამავე დროს მიეცემათ დაწესებულ ფისებში პური და სხვა სასურსათო პროდუქტები. მსურველთ ვსთხოვთ გამოცხადდენ ნავთლუღის სასურსათო პუნქტში, სად. ნავთლუღის პირდაპირ, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. 3—2

**ქალაქის თვითმმართველობისაგ ნ**

**ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებების საყურადღებოთ**

ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებმა, ქალაქის სამმართველოს დადგენილებით, უნდა წარუდგინონ, 1918 წ. 5 იანვრამდი ქალაქის სამმართველოს ბინათა განყოფილებას, ცნობა—მათ მიერ დაჭერილ ოთახების რაოდენობისა.

3—3 **თფილისის ქალაქის თვითმმართველობა.**

**განცხადება.**

თფილისის ქალაქის თვითმმართველობა ამით აცხადებს ყველა იმ პირთა საყურადღებოთ, რომ ვისაც რეკვიზიციით ჩამორთმეული აქვთ ბინები სამხედრო მოსამსახურეთათვის,—ქალაქის სამმართველო მოუწოდებს — შემოიტანონ განცხადება ქალაქის სამმართველოში.

3—3 **თფილისის ქალაქის თვითმმართველობა.**

## ანარქია ჩვენში

რუსეთის გულში შექმნილი ანარქია და ცხოვრების არევ-დარევა განაპირა კუთხეებშიაც ვრცელდება. უკანასკნელათ მან თავი იჩინა აგრეთვე ჩვენში, ამიერ კავკასიაში.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ამიერ კავკასიის განსაკუთრებული მდგომარეობა, რაც გამოწვეულია მის მცხოვრებთა მრავალ ტომობით. ეს მდგომარეობა გვავალებდა ჩვენ განსაკუთრებულ სიფრთხილეს და წინდახედულებას.

დღეს საკმაო გახდა ცოტა თუ ბევრათ მნიშვნელოვან სოციალურ ნაბიჯის გადადგმა, საკმაო იყო ამიერ კავკასიის კომისარიატს მიწის დეკრეტი გამოეცა, რომ რევოლიუციის საწინაალმდეგო მოძრაობა დაწყებულიყო.

სომხების ლიბერალურ და კონსერვატიულ წრეებში საპროტესტო რეზოლიუციებით დაკმაყოფილდენ, გულის წყრომას აცხადებენ იმის გამო, რომ ეკლესია-მონასტრებს უნდა ჩამოერთვას მიწებიო. თუ მოვიგონებთ იმ გარემოებას, რომ სამონასტრო მიწებზე ბლომათ მოსახლეობენ მუსულმანი გლეხები, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ წმინდა სოციალურ ნაბიჯი — მონასტრებისთვის მიწების ჩამორთმევას, ამ შოვინისტურ აგიტაციის მეოხებით შეიძლება მოყვეს ბრძოლის ეროვნულ ჩარჩოში გადატანა და სომხების და თათრების ერთმანეთისთვის დაპირდაპირება.

თათართა შორის დეკრეტის გამოცემის პირველ დღესავე მოხდა აშკარა პროვოკაციული გამოსვლა, იქ უკვე იწყეს რუს და სომეხ მცხოვრებთა აწიოკება.

თათრის გლეხობა შეუგნებელი და შეუკავშირებელია, იქაურ თავად-აზნაურობას, ბეგ-აღალარებს კი მშვენიერი ორგანიზაცია აქვთ და კარგათ შეიარაღებული რაზმებიცა ყავთ. აი ეს ნაქირავები რაზმებია, რომ რუს და სომეხ მცხოვრებთ აწიოკებენ; ღარიბ-ღატაკი თათრის გლეხების უმრავლესობა ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ აწიოკებაში მონაწილეობას არ იღებს, მაგრამ მას არც ძალა შესწევს, რომ ხოცვა-ჟლეტას ხელი შეუშალოს, ის ამისთვის ერთობ სუსტი და შეუგნებელ შეუკავშირებელია. მომხდარი ამბები კი გარეგნულათ ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მუსულმანები რუსების და სომხების წინაალმდეგ იბრძოდენ. ეს აუტანელ მდგომარეობას ქმნის და რევოლიუციას საფრთხეში აგდებს.

ამიტომ არასოდეს დემოკრატიის გაერთიანება ისე საჭირო არ ყოფილა როგორც ეს დღეს არის. მხოლოდ ამ გაერთიანებას შეუძლია მოსპოს ანარქია, მხოლოდ მას შეუძლია გაანთავისუფლოს გლეხობა ბატონ-ყმურ ულლისაგან და მიწა და თავისუფლება მისცეს.

ამ ფრიად კრიტიკულ და პასუხსაგებ მომენტში კიდევ ძოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც სახალხო კომისართა საბჭოს ლოზუნგით დემოკრატიულ ძალების გათიშვას ხელს უწყობენ და რეაქციას აღრმავებენ. ეს მიუტევებელი ცოდვაა. კავკასიის ყველა ცოცხალი ძალები უნდა შეერთდეს საერთო დიდებულ მიზნის მისაღწევათ.

მუშათა, გლეხთა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების ცენტრებმა უნდა დაივიწყონ ყოველგარი უთანხმოება და ერთი ძლიერი რევოლიუციონური ფრონტის შექმნას ხელი შეუწყონ. მხოლოდ მაგარი და მტკიცე დემოკრატიულ პოლიტიკის საშუალებით შეიძლება კავკასიაში სოციალურ რეფორმების განხორციელება და რევოლიუციის მოპოებათა შენარჩუნება. ვინც ამას ეწინააღმდეგება ის დემოკრატიის მტერია.

## აგრარული არეულობის გამო

სოფლებიდან ცნობები მოდის, რომ მიწის ჩამორთმევის შესახებ დებულების გამოცემის შემდეგ ზოგიერთ ადგილას დაიწყო მიწების დატაცება, და ტყეების გაჩეხა. ზოგან კიდევ უარეს მოვლენებსაც ქონდა ადგილი. გლეხები შესევიან მემამულის ზვარს, ვაზები აუჩეხიან, მამული გაუნადგურებიათ. ასეთი ბოროტ მოქმედება გამოწვეულია იმით, რომ გლეხებს გონებიათ, თუ ვაზიანი მამული იქნა—მემამულეს დარჩება, თუ ვაზი მოვსპეთ, გავაპარტახეთ, სათეს მიწათ ვაქციეთ, ადგილი ჩვენ დაგვრჩებაო. დიდი და საშინელი შეცდომაა: იგი მხოლოდ ნაყოფია უგუნურების, გაუგებრობის და ველურობის.

ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ მოქმედებას თავის სახელი არ ვუწოდოთ.

მიწის ჩამორთმევის დებულებას მთავარ მიზნათ აქვს დასახული გლეხების დაკმაყოფილება მიწით, მათთვის საკმაო მამულის მიცემა დასამუშავებლათ, რომ მათ მარჯვენას ექნეს სამუშაო და გარჯას მოყვეს შესაფერი ნაყოფი. რევოლიუციის თავი და თავი მიზანია, შრომის ნაყოფიერება, და ამ შრომის ნაყოფით გაუმჯობესება თვითონ მშრომელის. მარა განა გაჩეხილი ვენახები მოუტანს გლეხკაცობას ასეთ შედეგებს?

რასაკვირველია არა, იგი მხოლოდ გაალარიბებს ქვეყანას, იგი მხოლოდ გააპარტახებს მხარეს, შეამცირებს ქვეყნის შემოსავალს. მაშასადამე ბოლოს და ბოლოს ზარალს მოუტანს მთელ სოფელს, მთელ საზოგადოებას.

ასეთი გამჩეხი და მომსპობი საზოგადოებრივ სიმდიდრის—უდიდესი დამნაშავეა მთელი ხალხის წინაშე.

ჩვენ ვართმევთ მიწას, მამულს იმათ, ვინც მათ არ ამუშავებს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ახალი პატრონის ხელში დამუშავდეს და ქვეყანა დოვლათით აივსოს.

ქვეყნის სიმდიდრის გამაოხრებელი კი ქვეყნის გამღარიბებელია.

მერე რა სარგებლობას მოიპოვებს თვით ამ ბოროტების ჩამდენი?

რა სარგებლობას მისცემს ბოროტის ჩამდენს ვენახის გაჩეხვა? ან ტყის განადგურება? ხვალ ტყის ნაცვლათ მას ტიალი გორები დარჩება უნაყოფო და უსარგებლო. ზვარის ნაცვლათ აოხრებული ძირები, განა ეს მისცემს ვისმეს სარგებლობას? ტყუილია თითქო ყოველი გაჩეხილი ვენახი გამჩეხს მიეცემა, ან თითქოს გაუჩეხელი უთუოთ მემამულეს დარჩება.

რევოლიუციის ტალღამ არ იცის გარჩევა. მართალია დებულება არაფერს ამბობს ამის შესახებ, მარა დებულების მცირე რიცხვოვან მუხლებში არც შეიძლებოდა ჩატევა და ჩამოთვლა, გათვალისწინება ყველა მოსალოდნელ შემთხვევების.

დებულება მხოლოდ პრინციპს იძლევა, სახელმძღვანელო აზრს, ხოლო მისი ხორცის შესხმა, ადგილობრივ პირობებთან შეგუება, წამის შესაფერათ განხორციელება თვით გლეხების საქმეა.

თუ თვითეული გლეხი ამას თავისებურათ, თავის ნებით გადაჭრის, იგი ამით თავის მეზობლებს გამოეთიშება, სოფელს ღალატობს და ამით საერთო საქმეს ხელს უშლის, აფერხებს.

გამჩეხი ტყის, მომსპობი ვენახის ამით დანაშაულს ჩადის, პირველ ყოვლისა, თავის საზოგადოების წინაშე. იგი მათ საერთო საქმეს აფუჭებს, მათ ქონებას ანადგურებს, მათ ნება-სურვილს არღვევს. განა სოფელმა დაავალა ვისმე ტყის გაჩეხა, ან ზვარის აოხრება? ამიტომ ასეთ პირთა ალაგმვა თვით სოფელმა უნდა იკისროს. მან უნდა გააჩეროს თავის წევრი ასეთ შემარცხვენელ საქციელისაგან და დატუქსოს მისი ნების გადამსვლელი.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ სოფლებში საკმარისათ მოიპოვება საღი, შეგნებული ელემენტები, რომელნიც ამ საერთო საქმეს თავს გაართმევენ და ანარქიულ, უწესო ნაბიჯებისაგან იხსნიან სოფელს, შეაკავებენ მის შეუგნებელ და გაუგებარ წევრებს.

მარა მარტო შეჩერება მათი არ მოიტანს ნაყოფს, თუ დაუყოვნებლივ არ იქნა განხორციელებული მიწის გლეხების ხელში გადასვლა. ამიტომ ამავე მოწინავე, შეგნებულმა პირებმა უნდა დააჩქარონ გლეხთა ყრილობების მოწვევა და ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულ კანონების დებულების განხორციელება. დაუყოვნებლივ, ამ ზამთრის განმავლობაში უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში აგრარული რეფორმა, რომ დამდეგ გაზაფხულს სოფლის მშრომელთ შეეძლოს დამშვიდებით შეუდგეს თავის მიწების დამუშავებას.

## ლენინი და ევროპის რევოლუცია

ლენინი მუდამ ტრაბახობდა, რუსეთში ისეთ ალს გავაჩაღებ, რომ მთელი ევროპა რევოლიუციის ალმურმა დასწვასო. მაგრამ ჩაიგდო რა ხელში მთავრობა დაუყონებლივ ევროპის იმპერიალისტურ მთავრობებთან გამართა მოლაპარაკება, ხოლო ევროპის რევოლიუციონერები კი გადაავიწყდა, მათთვის მხოლოდ პეტროგრადელ გაზეთებში იბეჭდება უსუსური მოწოდებები. ყველა ამას კი აი რა მოყვა:

გერმანიაში ამ ბოლო დროს არა თუ მუშათა წრეებში მის გარეშეც კი იჩინა თავი რევოლიუციონურმა მოძრაობამ, რომელსაც მიზნათ აქვს ვილგელმის თვითმპყრობელობის ტახტის დანგრევა და რესპუბლიკის დამყარება გერმანიაში. ამ მოძრაობის ერთი მეთაურთაგანი ბ. გერმან ფერნაუ სცემს ჟურნალს შვეიცარიაში, და აი როგორ აფასებს ეს რევოლიუციონერი ლენინის საზავო პოლიტიკას:

„თქვენ მიმართავთ თვით ხალხებს ბ. ლენინო, სწერს ის სხვათა შორის ლენინს, მარა თქვენ პასუხს იღებთ ფონ კიულმანის, გრაფ ჩერნინის და მინისტრ ფონ ზეიდლერისაგან. იღებთ რა ამ ყველა ვაჟბატონებს ხალხის სურვილის ნამდვილ და პასუხისმგებელ გამომხატველებათ, თქვენ აშკარათ ეწინააღმდეგებით თავის საკუთარ დემოკრატიულ პრინციპებს. **რატომ არ თხოულობთ თქვენ, რომ წინასწარ შეკითხულ იქნეს მთელი გერმანიის ერი: სურს თუ არა მას, რომ გერმანიის იმპერატორს ეკუთვნოდეს უფლება ზავის ჩამოგდების და ომის გამოცხადების“?** ვისაც მიზნათ აქვს დასახული რევოლიუციონური მოძღვრების გამარჯვება, განა მას შეუძლია მოლაპარაკება გამართოს მთავრობებთან, რომელიც თავის ბუნებით და შემადგენლობით შეურიგებელი მოსისხლე მტრები არიან დემოკრატიის?..“ და შემდეგ განაგრძობს: „მრავალ რიცხოვანი ჩემი პოლიტიკური თანამოაზრეების სახელით, გერმანიის პროლეტარიატის სახელით მე ვაცხადებ, რომ ვილგელმთან ზავის ჩამოგდებით თქვენ ამაგრებთ გოგენცოლერნების გვარეულობას და თვითმპყრობელობის ბატონობას და ამით სასიკვდილო ლახვარსა სცემთ რესპუბლიკანურ დემოკრატიის საქმეს გერმანიაში. თქვენ იმედი გაქვთ რევოლიუციის გერმანიაში, მაშ გეუბნებით, რომ **ასეთ პირობებში** ეს რევოლიუცია წინდაწინვე განწირულია. გერმანიის იმპერატორის ტახტიდან ჩამოუგდებლათ იგი ქვიშაზე აგებულ შენობას წარმოადგენს.

თქვენ გსურთ, რომ თქვენ გეკუთვნოდეთ სახელი ევროპისათვის მშვიდობიანობის მომტანის, მარა რაკი თქვენ სწყვეტთ ამ პრობლემას როგორც პარტიული მოღვაწე და არა როგორც მსოფლიო მოქალაქე, თქვენ მხოლოდ უსაშინელესი ზარალი მოგაქვთ გერმანიის ხალხისათვის“.

ამ რიგათ გერმანიის რევოლიუციის მაგიერ ლენინის საზავო პოლიტიკას სარგებლობა მოაქვს ევროპის იმპერიალისტებისთვის. იგი ამაგრებს ევროპის მეფეთა ტახტს, ისე როგორც საშინაო პოლიტიკა იმავე ლენინის უმზადებს ნიადაგს შავბნელ რეაქციას რუსეთის შიგნი.

## „რუსთა კავშირის ენით“

კავკასიის ჯარის 2 ყრილობაზე როგორც ვიცით დიდი როლი ითამაშეს ე. წ. ბალშევიკებმა. ისინი შეადგენდენ თითქმის ყრილობის ნახევარს და ზოგიერთ შემთხვევაში სჭარბობდენ კიდეც დანარჩენ პარტიებს თავის ახლო მეზობლებთან —მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერებთან ერთად.

მარა რა ჭეშმარიტი სოციალისტები და დემოკრატები არიან ეს ახლათ გამოჩეკილი ბალშევიკები მკითხველი ადვილათ დაინახავს შემდეგი ფაქტიდან: ტრიბუნაზე დგას ებრაელი და სიტყვას ამბობს. მოუთმენელ ბალშევიკებს არ მოსწონთ მისი მკვეთრი ლაპარაკი და ერთი მათგანი თავის ჩვეულებისამებრ მას „დაწყევლილ ჟიდს“ უძახის. როცა ამაზე ხმაურობა ასტყდა და ევ. გეგეჭკორმა მკაცრათ უსაყვედურა ამ ვითომ-და მემარცხენეებს ეს შავრაზმული ტერმინოლოგია, მეორე ბალშევიკი „ჟიდზე უარესი ხარო“, აძლევს რეპლიკას ევგენი გეგეჭკორს.

ყრილობა აღშფოთებულია. ბალშევიკების ლიდერები სდუმან თავჩაქინდრული. მათ იმდენი გამბედაობა არ შესწევთ, რომ თავის წევრთა შავრაზმელობაში გამოტყდენ. უკაცრავათ მოხსენებაა მემარცხენე ესერების ლიდერი კიდევაც ცდილობს დაიცვას კოლეგები: „მათი ნათქვამი სრულიად ლიტერატურული სიტყვა არისო“ აცხადებს ის. ამრიგათ ამ უსაზღვრო რევოლიუციონერებმა საკმაოთ შავრაზმული სახე გამოიჩინეს. თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ ამ ენაწყლიან „ბალშევიკებს“ გვერდს უმშვენებდენ ძველი მთავრობის მოტრფიალენი, უქვეშევრდომილესი თხოვნების ავტორები, ყოფილი პოლიციელები და დამცველ განყოფილების წევრები, თქვენთვის გარკვეული იქნება სახე იმ „რაზმისა“, რომელიც კავკასიის რევოლიუციურ არმიის სახელით აპირებდა კანონმდებლობას.

## პრესა

„კავკაზსკი რაბოჩი“- ს 24 დეკემბრის ნომერში უშველებელი ასოებით სწერია: „განჯის გუბერნიაში მუსულმანთა მასსები კონტრ-რევოლიუციონერ ბეგების და ხანების აგიტაციის წყალობით სომეხ და რუსის ღარიბ გლეხობას დაერიენ. მუსულმანთა მემამულეებმა სულთანოვის და კომპ. მეთაურობით ააფრიალეს შავი დროშა ძმათა შორის ომისა... მუსულმანმა გლეხებმა და მუშებმა სომეხ და რუს ძმებს თავი უნდა დაანებონ და თავისი იარაღი მიმართონ წინაალმდეგ აშკარა კონტრ-რევოლიუციონერ მემამულეებისა, **რომელთაც არ უნდათ ხელიდან გაუშვან მიწები და მშრომელ ხალხს გადასცენ.** ჩვენ მოუწოდებთ მუსულმან გლეხებს დაუყონებლივ ჩამოართვან მიწები ბეგებს და აღალარებს“.

მკითხველმა იცის, რომ მუსულმანთა მოძრაობა რუსეთისა და სომხების წინაალმდეგ ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულ მიწის დეკრეტს მოყვა, მემამულეებმა იგრძნეს, რომ დეკრეტით მათ მიწები ერთმევათ და პროვოკაციას მიმართეს. ამას დღეს „კავკაზსკი რაბოჩიც“ ადასტურებს. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, გრძნობს თუ არა იგივე „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“ სინდისის ქენჯნას იმ უტიფარ ტყუილის გამო, რომელიც მათ ამ ერთი კვირის უკან გაავრცელეს: „მიწის დეკრეტიდან ჩანს, რომ ბატონი გეგეჭკორი და სხვები გლეხებს ატყუილებენ და მემამულეებს შველიანო“? მაგრამ თავი დავანებოთ ბალშევიკების სინდისს. როგორ უწყობენ ისინი ხელს მუსულმან გლეხების და მუშების გათვითცნობიერებას? განა ბალშევიკები იმასვე არ ჩადიან აქ, ჩვენში, რასაც თათრის ბეგები და აღალარები თავიანთ სოფელში? ბალშევიკები აქ ეუბნებიან რუს ჯ.-კაც. და რუს მცხოვრებთ ქართველები გღალატობენო, ხოლო ბეგები იქ ასეთივე ქადაგებით მიმართვენ გლეხებს რუსები და სომხები გღალატობენო.

არის რასაკვირველია, განსხვავებაც: ბეგები პროვოკაციით ცდილობენ მიწები შეინარჩუნონ, ხოლო ბალშევიკები ცდილობენ ლენინ-ტროცკის ბატონობა განამტკიცონ. ამიტომ არის, რომ ბალშევიკები და ბეგები, ერთსა და იმავე შედეგს აღწევენ: ეს არის არევ-დარევა და ხოცვა-ჟლეტა.

აღსანიშნავია ბალშევიკების მოწოდებაში შემდეგი: „ჩვენ მოუწოდებთ მუსულმან გლეხებს, დაუყონებლივ ჩამოართვან მიწები ბეგებს და აღალარებსო“.

ჩვენ ვიცით, რომ ფრონტიდან რუსის ჯარი სამშობლოში გარბის და ამ გაქცევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბალშევიკების აგიტაციას. თათრის ბეგები ამას კარგათ ხედვენ. გარდა ამისა მგონი ბალშევიკებმაც კი იციან, რომ მუსულმანთა მასა შეუგნებელი და შეუკავშირებელია. სწორეთ ამაზეა აშენებული ბეგების ბატონობა. ვისაც გლეხების შველა უნდა, ის პირველათ ეცდება თ შეკავშირებას. ბალშევიკები კი გამომდგარა და ეუბნებიან გლეხებს „დაუყონებლივ ჩამოართვით ბეგებს მიწებიო“. ვინც ცოტათ მაინც იცნობს სოფელს, იმისთვის აშკარაა, რომ გლეხობა არ წარმოადგენს ერთ მთლიან ჯგუფს და ამიტომ მიწების უორგანიზაციოთ დატაცება ვერაფერს ვერ შესძენს სწორეთ ღარიბ გლეხობას, რომელიც უფრო სუსტი და დაბეჩავებულია. პირიქით ამ უორგანიზაციო დატაცებას მოყვება თვითონ გლეხებში ერთა მეორის ხოცვა. ცხადია, ბალშევიკების ამ მოწოდებით ერთხელ კიდევ მტკიცდება მათი ანარქისტობა და კონტრ-რევოლიუციონერობა.

ბალშევიკების ამ კონტრ-რევოლიუციონერობას, რასაკვირველია, ვერ გააქარწყლებს მათი ყიჟინა: „ძირს ბურჟუაზიულ-ფეოდალურ კონტრ-რევოლიუციაო“, რადგან „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა შუა უზის დიდი ზღვარი“.

* *

იგივე „კავკაზსკი რაბოჩი“ (№ 220 „ОСНОВЫ ВЛАСТИ СОВѢТОВЪ“) ცდილობს გაარკვიოს ბალშევიკების შეხედულება დამფუძნებელ კრების შესახებ. ბალშევიკები თავდაპირველათ თავს იმართლებენ—დამფუძნებელ კრების დაგვიანება ჩვენი ბრალი არ არის, პირიქით, თურმე ეს კერენსკის მთავრობის კომისიების ბრალი ყოფილა: „არა დაგვიანება ჩვენი ბრალი კი არის, არამედ სწორეთ იმათი, ვინც ბევრს ყვირის. ეს კერენსკის დროის ძველი საარჩევნო კომისიებია და ბ. ჩინოვნიკები“. მკითხველმა კი იცის, რომ დაგვიანების მიზეზია სწორეთ ის ანარქია, რომელიც ბალშევიკებმა შექნეს.

თავი დავანებოთ ამას. მკითხველს აინტერესებს საკითხი: გაბედავენ თუ არა ბალშევიკები დამფუძნებელ კრების გარეკას.

დღემდე ბალშევიკები ამბობდენ: დამფუძნებელი კრება კერპი არ არისო, ე. ი. იმის გარეკას შესაძლებლათ თვლიდენ. დღეს ცოტათი ფრონტი შეიცვალეს, აღარ კმაყოფილდებიან უბრალო თქმით: **კერპი არ არისო;** პირიქით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დამფუძნებელი კრება ხალხის წინაალმდეგ არ წავა. მაგრამ ამ ობიექტიურ შეხედულებას მალე სტოვებენ, როცა წარმოიდგენენ ბატონობის დაკარგვის შესაძლებლობას და კითხვას მოულოდნელათ ასე აყენებენ: ვისი იქნება უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში ბურჟუაზიის და მათი მეგობრების მენშევიკების და სოციალისტ-რევოლიუციონერების, თუ ბალშევიკების და მათი მეგობრების მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერების. რა მოხდებოდა ამ შემთხვევაში, კითხულობენ ბალშევიკები და თითონვე იძლევიან პასუხს: „მაშინ ეს უმრავლესობა რაა თუ უარს იტყვის დაამტკიცოს სახალხო კომისართა მიერ გამოცემული ყველა დეკრეტები, არამედ ის უსათუოთ მოინდომებს დააბრუნოს ის ბედნიერი დღე, როცა ქვეყანას კერენსკი და ტერეშჩენკო განაგებდენო“.

ბალშევიკები აქ შეგნებულათ ტყუიან, რადგან დღეს რუსეთში არ მოიპოვება ისეთი მენშევიკი, რომელიც კერენსკის და ტერეშჩენკოს რეჟიმის დაბრუნების მომხრე იყვეს.

მაგრამ საინტერესოა ის, რომ ბალშევიკები არ ეშვებიან ოცნებას, რომ დამფუძნებელ კრებაში თითონ იბატონონ. ეს ლოღიკურია იმის შემდეგ, რაც ბალშევიკებმა აღიარეს **მთელი ძალა-უფლება საბჭოებსო,** სწორეთ ასე უყურებდენ ამ რამდენიმე ხნის უკან ბალშევიკები დამფუძნებელ კრებას და დღეს თუ ამდენს ბოდიშობენ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მათ ნიადაგი ეცლება ფეხ-ქვეშ. ამიტომ არის, რომ ბალშევიკები **ცნობენ** ისეთს დამფუძნებელ კრებას, რომელიც „ნათლათ გამოხატავს რუსეთის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის ნება-სურვილებს“.

„ასეთი დამფუძნებელი კრება“,—დაასკვნის ბალშევიკების გაზეთი,—უეჭველათ წავა იმ გზით, რომლითაც მიდიან სახალხო კომისართა საბჭო და მუშათა, გლეხთა და სალდათთა საბჭოების ყრილობები, რადგან ეს დაწესებულებები თეორეტიულ გამოგონებებით კი არ იქცევენ თავს, არამედ ქმნიან ნამდვილ

რევოლიუციონურ ნებას რუსეთის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისას".

დღემდის ჩვენ ვიცოდით, რომ სოციალ-დემოკრატია სწორეთ „თეორეტიულ გამოგონებით იქცევს თავს", რადგან ის უნდა ხელმძღვანელობდეს მასსიურ გამოსვლებს. ბალშევიკები კი მიყვებიან ბრმათ ამ მასსას. საინტერესოა, რას იტყვიან ბალშევიკები, რომ ანარქიით დაქანცულმა მცხოვრებთა უმრავლესობამ მონარქიის დაბრუნება მოითხოვოს!

## დროებითი ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან

(დელეგატის მოგონება)

IV

ამავე სხდომაზე, ოთხ დეკემბერს, ოსმალების დელეგატებმა კატეგორიულად მოითხოვეს შეგვეტანა ხელ-შეკრულობაში, რომ შავ-ზღვაზე რუსეთის სამხედრო ფლოტი სწყვეტს აგრესიულ მოქმედებას. ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. ჩვენ პრინციპიალურად მომხრე ვიყავით ასეთი წინადადების, მხოლოდ ერთი გარემოება გვაგდებდა უხერხულ მდგომარეობაში. კავკასიის დელეგაციას უფლება არ ქონდა ელაპარაკა შავი ზღვის ფლოტის სახელით. ჩვენ მაინც დაუსვით კითხვა ოსმალებს: აქვთ თუ არა მათ უფლება მოგვცენ გარანტია, რომ ოსმალეთის სამხედრო ფლოტიც შესწყვეტს მოქმედებას? ცოტა თათბირის შემდეგ მათ გამოგვიცხადეს, რომ მათ აქვთ ასეთი უფლება. კავკასიის დელეგაციამ გადასწყვიტა შეკითხებოდა თბილისს, საიდანაც მიიღო ნებართვა, გაემართა მოლაპარაკება საერთო ხასიათის ფლოტის მოქმედების შესახებ. ამ ნაირად, ხელშეკრულობაში შეტანილი იქნა მუხლი იმის შესახებ, რომ შავ-ზღვაზე ორივე სახელმწიფოს ფლოტი სწყვეტს სამხედრო მოქმედებას.

სამხედრო ხაზს, ჩვენი და ოსმალეთ შორის გაყვანილს, დიდი კამათი არ გამოუწვევია. შტაბის ოფიცრებმა დაამზადეს რუქა (კარტა), სადაც ნაჩვენებია ვრცლად ყველა ის ადგილები, სადაც სდგას ჩვენი ჯარი და იმის პირდაპირ ოსმალეთის ჯარი. ამ ხაზის გადალახვა არც ერთ მხარეს არ შეუძლია. როდესაც ვანის ვილაიეტში გაყავდათ ეს ხაზი, ოსმალეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ იქ ოსმალეთის წინააღმდეგ არ სდგას რუსის ჯარი. ეს არ იყო მთლად უსაბუთო შენიშვნა. ამის პასუხად გენერალმა ვინიცკიმ განაცხადა, რომ მისი ცნობით, ამ რაიონში ოსმალეთის ჯარიც ძლიერ სუსტიაო. მიუტფი ბეიმ სიცილით გვიპასუხა, რომ ეს მართალიაო. ამ ნაირად გამოჩნდა, რომ გვარიან დიდ მანძილზე არც ერთ მხარეს არ ყავს ჯარი. ამის გარშემო ატეხილმა, ზემოდ მოყვანილ განცხადებებმა, ცოტა არ იყოს მხიარულ გუნებაზე დააყენა დელეგაციის ყველა წევრები.

როგორც წინა წერილში გვქონდა ნაჩვენები, ორი სამხედრო ხაზს შუა (ჩვენი და ოსმალეთის) დარჩება ნეიტრალური ზონა. ამ ადგილზედ ცხოვრობენ როგორც ქურთები, ისე სომხებიც. კითხვა დაისვა: როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა რამე ბოროტმოქმედება, მაგალითად: მკვლელობა, ნეიტრალურ ზონაში. მცირე თათბირის შემდეგ იმ აზრს დაადგა შეერთებული დელეგაცია, რომ ამისთანა შემთხვევებს გაარჩევს ორივე მხრივ არჩეული შეერთებული კომისია. ამ კითხვის განხილვის დროს მე ცოტა უტაქტობა ჩავიდინე და მოვითხოვე შეეტანათ ხელ-შეკრულობაში, რომ ბოროტ-მოქმედი არ იქნება სიკვდილით დასჯილი. ჩემდა უნებურათ ამ წინადადებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ოსმალეთის დელეგაცია. ერთმა მათგანმა მოინდომა კითხვის დიპლომატიურად ჩაფუჩეჩება და სხვა საგანზე დაიწყო ლაპარაკი. მიუხედავათ ამისა მე მეორეჯერ დავსვი კითხვა: თანახმანი არიან თუ არა ოსმალეთის დელეგატები, მიიღონ ჩემი წინადადება სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ნეიტრალურ ზონაში? პასუხი ვერ მივიღე. მაშინ ჩვენ განვაცხადეთ, რომ მომავალი კომისიის რუსეთის წევრები ვერ მოაწერენ ხელს ისეთ განაჩენს, სადაც სიკვდილით დასჯა იქნება ნაჩვენები, როგორც სასჯელი. ეს განცხადება მხედველობაში იქნება მიღებული შეერთებულ კომისიის მიერ.

ხუთ დეკემბერს უკანასკნელათ შეიკრიბა დელეგაცია, რომ ხელი მოგვეწერა შეთანხმებისთვის. ყველანი მოხარული ვიყავით, რადგანაც ამ დღიდან ბოლო მოეღებოდა ომს ჩვენს ფრონტზე. ვილაცამ იხუმრა: ნიკოლოზ მეორემ ომს მოაწერა ხელი და ხალხი ჯოჯოხეთში ჩააგდო, კავკასიის დემოკრატია ზავს აწერს ხელს. თუ არ სამოთხე, ნორმალური ცხოვრება მაინც დაიწყება. ხელის მოწერა დიდხანს გაგრძელდა. ჩვენ ვაწერდით რუსულათ ხელს, ხოლო ოსმალეთის დელეგატები თათრულათ. კინაღამ გადამავიწყდა, რომ პოლკოვნიკ ესაძეს თან ქონდა ფოტოგრაფიული აპარატი და ხშირათ იღებდა ჩვენს სურათს. ხელის მოწერის დროს მისგან ყველა დელეგატმა მიიღო საჩუქრათ რამოდენიმე სურათი. თათრებმა გვთხოვეს წაგვეწერა ჩვენი სახელი სურათებზე. სიამოვნებით დავთანხმდით. ზოგმა რუსულათ მოაწერა, ზოგმა ფრანგულათ. ქჳეენმა უმორჩილესმა მონამ ქართულათ მოაწერა. ქართული ასოების დანახვამ, თუ არ ვცდები, ერთგვარი სიამოვნება გამოიწვია ოსმალების დელეგატებში. თუ რა მისტიური შინაარსი ქონდა ამ სიამოვნებას, მე ეს არ ვიცი. შრომის დაგვირგვინების შემდეგ, მცოდნე პირების აზრით, კარგი სადილი უნდა გაგვემართა ოსმალეთის დელეგატებისთვის. საუბედუროთ ეს სადილი გამოვიდა მეტათ ღარიბი შინაარსის. თითქოს განგებ, ამ დღეს არც ყავა იყო რიგიანი და ღვინოც გამოლეული. აშკარაა, არა-ნორმალურ პირობებში მოლაპარაკება „შეპრეკილ" სადილით გათავდა. ამ შემთხვევაში საერთო ჰარმონია მაინც დაცული დარჩა.

თუ ერზერუმიდან ერზენჯანში მოგზაურობას, თათრების დელეგატების შესახვედრათ ერთი დღე მოვანდომეთ, უკან დაბრუნებას ოთხი დღე მოუნდით, რადგანაც ოთხჯერ წაგვიხდა ავტომობილი. მე არ მოვაწყენ მკითხველებს ამ მოგზაურების აწერით. შეიძლება ოდესმე ეს კარგი მოსაგონარი გახდეს, გზაზე კი ოცდა ათ ორმოც გრადუს სიცივეში თავს მეტათ შეწუხებულათ ვგრძნობდით და ხანდახან მკაცრი სიტყვებით ვემუქრებოდით თფილისელ ამხანაგებს, რომელთაც ასეთი მძიმე მოვალეობა მოგვახვიეს თავზე.

**ბიკტორ თევზაია.**

## სადღეისო შენიშვნები

**სად არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი?**

ადგილობრივ ბალშევიკების „ბრძოლა"-ში ერთი ბალშევიკი ჩამოსთვლის რა ყველა იმ „ცოდვებს", რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატის ავტორთ ჩაუდენიათ, კითხვას ასე აყენებს: რატომ შეადგინეთ ცალკე მთავრობა, რატომ არ უჭერთ მხარს სახალხო კომისართა საბჭოს, თუ წინეთ კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობას უჭერდით მხარსო. წერილს ის ასე ათავებს: „განა 8 თვის განმავლობაში არსებული მთავრობა, რომელსაც სათავეში ედგა კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის აგენტები, უფრო აღრმავებდა რევოლიუციას თავისი მუხანათური პოლიტიკით, ვიდრე **საბჭოების მიერ შედგენილი და ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის** წინაშე პასუხის მგებელი მთავრობა?" (კურსივი ჩვენია).

მართალია, ლენინ-ტროცკის მთავრობას სახელად ეწოდება საბჭოთა მთავრობა, მაგრამ საქმით კი „სახალხო კომისართა საბჭო" სულ სხვაა. „სახალხო კომისართა საბჭო" პასუხისმგებელი უნდა იყოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

ამის შესახებ „ნოვაია ჟიზნში" (რვა დეკემბრის) ნიკ. სუხანოვი შემდეგს სწერს: „უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათ, რომელიც ანხორციელებს საბჭოს მთავრობას, რომლის წინაშეაც პასუხის მგებლები არიან სახალხო კომისარები და აგრეთვე სხვა დაწესებულებები, არის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, თუმცა ძირითადი კანონების თანახმად, რომელიც ამავე კომიტეტმა დაამტკიცა, სახალხო კომისართა უფლებანი იმდენათ ფართოა, რომ ის თითქმის განუსაზღვრელია, ამას გარდა სახალხო კომისარები თავიანთ უფლებებს ისედაც აჭარბებენ და თვით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიც არ მოქმედებს, არ ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას... იმ დროს, როცა კომისართა საბჭო საყურადღებო ნაბიჯებსა სდგამს—როგორიცაა საზავო მოლაპარაკება, პეტროგრადში საალყო წესების გამოცხადება, „ვიკჟელის" განადგურება, უკრაინისთვის ომის გამოცხადება და სხ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი არამც ანგარიშს არ მოითხოვს კომისარებისაგან, არამც თუ პასუხს არ მოსთხოვს მათ, სრულიადაც არ იკრიბება. ამ ცენტრალურ კომიტეტს დღემდე არავითარი განსაზღვრული დღეები და საათები არ აქვს თავისი მუშაობისა. ის არ იკრიბება სასწრაფოთ, უკეთუ მთავრობამ არ უბრძანა. ამ დღეებში ასეთი ამბავიც კი იყო გაზეთებში მოთავსებული: აღმასრულებელი კომიტეტის, ამ უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულების სხდომა, ერთ-ერთი საყურადღებო საკითხის გარჩევის დროს შესწყვიტეს, ვინაიდან „ოპოზიციის" ზოგიერთი წევრები რომელიღაც სიეზდზე გაეშურენ. იმ სიეზდზე განაგრძობენ, ალბათ, დღემდე მუშაობას. ის მილიონინი მუშები გლეხები და ჯარისკაცები", რომელთაც თავიანთი რწმუნება ჩააბარეს დელეგატებს, განა ამ უკანასკნელებისაგან საქმისადმი ასეთ მოპყრობას მოელოდენ... რაც არ უნდა იყოს, ცენტრალური კომიტეტის მიერ თვით-არსებობის მოსპობა არის საშიშარი აჩრდილი. ამ კომიტეტის სიცოცხლეშივე გახრწნა არ ნიშნავს ბალშევიკების დიქტატურის გახრწნას, არამედ მისი თვით-განადგურება არის იმ სრულ-უფლებიანი ორგანოს განადგურება, რომელსაც შექმნილ პირობებში შეეძლო ბალშევიკების დიქტატურის და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს საშიშარი აჩრდილია, ვინაიდან ბალშევიზმის წინააღმდეგ სულ სხვა ბრძოლის საშუალებებს მიმართავენ, რაც აღგვის პირისაგან მიწისა არამც თუ ლენინის დიქტატურას, არამედ—ყველა მონაპოვართ და რევოლიუციის მომავალ პერსპექტივებსაც".

სად არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რას აკეთებს ის? განა იმიტომ ჩამოაგდო ხალხმა ნიკოლოზ მეორე, რომ მის მაგივრათ ვლადიმერ პირველი დაესვა? ნიკოლოზ მეორეც ხომ რუსის ხალხის სახელით მოქმედობდა, ისე, როგორც ამ ჟამად ლენინი მოქმედობს მუშების, გლეხების, ჯარისკაცების სახელით.

ადგილობრივ ბალშევიკებს სჯერათ მხოლოდ ის, რაც ბალშევიკების გაზეთებში სწერია, ისე, როგორც მართლმორწმუნე მაჰმადიანს ყურანს გარდა არაფერი არ სწამს.

ბალშევიკური ნაწერის ფასი კი კარგა ხანია ვიცით: აი რა სწერია მაგ., ბალშევიკების პეტროგრადის „იზვესტიაში" (10 დეკემბრის ნომერი): **„ასი ათასი ხიშტი კალედინის ჯარების ზურგში.** სახალხო კომისართა საბჭოს პრესის ბიურო პირდაპირი მავთულით იტყობინება მოსკოვიდან, რომ კავკასიის არმიას ასი ათასი ჯარისკაცი გაუგზავნია კალედინის წინააღმდეგ, კავკასიის ჯარს შეუერთდენ მთიელთა რამოდენიმე ტომები".

ბალშევიკების ინფორმაცია, პრესის ბიურო, პირდაპირი მავთული!..

ეს ცნობა „ბრძოლის" იმავე ნომერში ასეა მოთავსებული: **„რადა" და კალედინი.** როგორც გაზეთებიდან ვტყობილობთ, მოკავშირეთა კაპიტალისტებმა დახმარება აღუთქვეს როგორც რადას, ისე კალედინს. რადამ მუშათა და გლეხთა მთავრობას შეუთვალა, რომ იგი კალედინთან კავშირის გაწყვეტას უარყოფს. მეორე მხრით, სახალხო კომისართა საბჭოს მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით ატყობინებენ, რომ კავკასიის არმიამ ფრონტიდან 100,000 ჯარისკაცი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ დასძრაო".

როდის დასძრა—სიზმარში თუ ცხადში?

განა კავკასიის ფრონტიდან დაძრული ჯარი ნავთლუღს აუვლის? ეს უნდა კარგათ მოეხსენებოდეს „ბრძოლის" ბრძენ მწერლებს. აბა, როდის გაიარა ნავთლუღზე 100,000 ჯარმა ჩრდილო კავკასიაში კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად? ცხადია, თუ ყურის ძირში, როგორც იტყვიან, მომხდარ ამბავს სწორათ ვერ აწვდის „ბრძოლა" თავის მკითხველებს, რა ფასი ექნება შორიდან მოსულ ამბებს.

განა ამის შემდეგ „ბრძოლის" ხაზურელი კორესპოდენტი ბ-ნ შალამბერიძე კიდევ გაჯავრდება, რომ ბალშევიკებს „კუდაბზიკა" ვუწოდოთ საერთოდ და „ბრძოლას" კერძოთ ცრუპენტელა?..

## ახალი ამბები

**დამფუძნებელ კრების გახსნა.** ამიერ-კავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ატყობინებენ პეტროგრადიდან, რომ დამფუძნებელი კრება გაიხსნება 5 იანვარს.

— **ძარცვა-გლეჯა და დარბევა სარიყამიშში.** სარიყამიშიდან გვატყობინებენ, რომ ფრონტიდან წამოსულ ჯარისკაცების მოსვლისათანავე დაიწყო ძარცვა-გლეჯა და დარბევა. შეუგნებელი ჯარის-კაცები ყოველივე საზიზღრობას სჩადიან, სტეხენ მაღაზიებს, საქონლის სადგურებს და იტაცებენ რაც ხელში მოხვდებათ, ღამე ისე არ გაივლის, რომ ვინმე არ მოჰკლან, მთელი დღე და ღამე განუწყვეტლივ სროლის ხმა ისმის.

— **ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მისცეს ერთდროული დახმარება 400 მ. თითოეულს ფოთის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს.

— **პოლიტიკური პარტიები მომენტის შესახებ.** სიღნაღიდან გვატყობინებენ, რომ სიღნაღის მაზრის ყველა პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაციების კომიტეტების წევრების გაერთიანებულ კრებაზე დაუდგენიათ ერთად-ერთ კანონიერ მთავრობათ აღიარონ ამიერ-კავკასიის კომისარიატი და მხარი დაუჭირონ მას.

— **მისალმება ნაციონალურ საბჭოს.** სამტრედიის ქალაქის საბჭომ ერთ თავის კრებაზე დაადგინა მიესალმოს ქართულ ნაციონალურ საბჭოს და დემოკრატიის ბელადს ნოე ჟორდანიას.

— **ფოსტა-ტელეგრაფის სომეხ მოსამსახურეთა დადგენილება.** 23 დეკემბერს თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სომეხ მოსამსახურეთა კრებაზე განიხილეს რა ფრონტზე დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა, დაადგინეს ყველაფერი როგორც გონივრული ისე ფიზიკური ძალა სომეხთა ნაციონალურ საბჭოს მოახმარონ.

— **„კაფე ფრასკატი".** დღეს, 28 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე გაიხსნება „კაფე ფრასკატი".

— **ბაქოს რკინის გზის მდგომარეობა.** როგორც გვატყობინებენ ბაქოს რკინის გზაზე მდგომარეობა თანდათან ნორმალურ სახეს ღებულობს. მოძრაობა სწარმოებს. გუშინ თფილისში სატახტო ქალაქის გაზეთები მოვიდა. განჯაშიც სიწყნარე ჩამოვარდნილა.

— **ანგარიში.** მეოთხე სამილიციო უბნის ქვეკოლექტივის მიერ პარტიულ წიგნთსაცავის სასარგებლოთ 16 დეკემბერს გამართულ საღამოდან შემოვიდა: 1398 მ. და 73 კ. დაიხარჯა 627 მ. 90 კაპ. დარჩა წმინდა შემოსავალი 770 მ. 83 კ. ამხ. დემეტრაშვილმა შემოსწირა 3 მ. 10 კ.

**კრებები და მიტინგები.**

მეოთხე სამილიციო უბნის რ. ს. დ. მ. პ. ქვეკოლექტივი იწვევს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის ყველა წევრთ დაესწრონ საზოგადო პარტიულ კრებას ხუთშაბათს, 28 დეკემბერს საღამოს 7 საათზე მეორე მომრიგებელ სასამართლოს ბინაზე (მუხრანის ქუჩა). ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

— 29 დეკემბერს საღამოს 7 საათზე სატრანსპორტო პუნქტის შენობაში (გოლოვინის პროსპექტი № 6) დანიშნულია მეოთხე რაიონის რ. ს. დ. პ. წევრთა კრება ამხ. ნ. ნ. ჟორდანია გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „პოლიტიკური მდგომარეობა და ჩვენი პარტია". განიხილავენ მიმდინარე საქმეებს. შესვლა საწევრო ბილეთებით.

— დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მეორე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში გაიმართება გლეხთა ცენტრის კრება. დაბეჯითებით სთხოვენ ამხანაგებს უსათუოთ დაესწრონ, არ დაიგვიანონ.

— დღეს საღამოს 6 საათზე ავლაბრის საზამთრო კლუბში მოხდება რ. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის კრება, ამხანაგები თავის დროზე უნდა მოვიდენ.

## პროვინციის ქრონიკა.

**ჩოხატაური.** გაიფიცენ ჩოხატაურის რაიონის სახალხო სკოლების მასწავლებლები. მოითხოვენ: სამრევლო და საერო სკოლების გაერთიანებას, მიუღებელი ჯამაგირების დაკმაყოფილებას, მასწავლებლისათვის (განურჩევლად) თვიური ჯამაგირის 300 მანეთით განსაზღვრას, ერთ დროულად 500 მან. დახმარებას, დღიურებს სანამ ომია 1 მ. 25 კ. დღეში უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის ბინის და გათბობის. უკეთუ ეს მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული, მასწავლებლები 7 იანვრიდან სრულიად ანებებენ თავს მასწავლებლობას.

**ფოთი.** 17 დეკემბერს, ქალაქში გაიმართა რაიონული მიტინგები: ნახუტუში და კუნძულზე. ილაპარაკეს ჩვენმა ამხანაგებმა—ვასო ნოდიამ და სხვ. მიტინგები მრავალ რიცხოვანი იყო. გამოიტანეს რეზოლიუციები, რომ მხარს უჭერენ ამიერ-კავკასიის კომისარიატს და პროტესტს აცხადებენ დამფ. კრების თათბირის გარეკის წინააღმდეგ.

— დაარსდა კომისია, რომლის დანიშნულებას შეადგენს ქალაქის დაცვა შავი ჭირის შემოტანისაგან.

— ძალიან გამრავლდა სახლებში თაგვები. მცხოვრებლებს სურთ შეიძინონ თაგვებთან საბრძოლელი წამალი, მაგ. „თაგვის შაქარი", რომელიც უწინ თვითონ ქალაქს მოჰქონდა და ჰყიდდა. ეხლა ეს წამალი გათავებულა. თუ მხედველობაში მივიღებთ შავი ჭირის საშიშროებას, ქალაქმა ეხლავე უნდა მიიღოს ზომები თაგვებთან საბრძოლველათ, ჩამოიტანოს ეს წამალი და დარიგება მისცეს ხალხს.

— სასურსათო კომიტეტი 1 იანვრიდან გადადის ქალაქის თვითმართველობის ხელში. ამასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ზოგიერთ მოსამსახურეთა გადადგომა.

— 5—8 დღე ფოთში პური არ იშოვებოდა. ხალხი იკვებებოდა სიმინდით და „სუხარით". მიღებული იქნა ენერგიული ზომები. ჯერ-ჯერობით ქალაქში პურის ფქვილი საკმაოთაა.

— გაიფიცენ როსიის საზ-ბის მოსამსახურენი. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა. მიუხედავათ ათასგვარ თხოვნამუდარისა, ისინი უყურადღებოთ რჩებოდენ მუდამ. მოსამსახურენი ღებულობდენ დღემდე 90—130 მან.

— ფოთში გამოდის ადგილობრივ მოწაფეთა ორგანო „ახალგაზდა მარსისტი". მას ფოთის სოც.-დემ. კომიტეტმა გადასცა გაზეთის ფონდისთვის 200 მანეთი.

## მუშათა წერილები

**ძველი და ახალი.**

ის, რაც კერენსკის მთავრობამ ვერ შესძლო რვა თვის განმავლობაში,—ჩვენ ერთ თვეში გავაკეთეთო, ამბობენ ბალშევიკები.

რა თქმა უნდა, კერენსკის მთავრობა ვერ გამოხატავდა ჩვენს, სოც.-დემოკრატ-მენშევიკების ნება-სურვილს კერძოთ და საზოგადოთ მთელი დემოკრატიის შეხედულებას. ის კონსერვატიული მთავრობა იყო, რომლის მოქმედება მხოლოდ ერთ ადგილას ტკეპნაში გამოიხატებოდა. ამიტომ იყო რომ კერენსკის მთავრობამ მალე დაკარგა ძალა-გავლენა ფართო დემოკრატიის თვალში, რომელმაც ამის შემდეგ სოც.-დემოკრატ-მენშევიკების სახით უარჰყო კოალიციური პრინციპი და სამაგიეროთ, წამოაყენა დემოკრატიულ ნიადაგზე შედგენილი მთავრობის აუცილებლობა. ჩვენ ყოველთვის ვებრძოდით და ვებრძვით ბურჟუაზიას. და იმდენათ, რამდენათაც კერენსკის მთავრობა იქეთ იხრებოდა, იმდენათ ფართო დემოკრატია მას სცილდებოდა. რევოლიუციის დროს რევოლიუციის ბატონ-პატრონია თვით დემოკრატია. ამიტომ ამ დროს ყველა პარტიის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს — გამოიჩინოს რევოლიუციური შორს-მჭვრეტელობა, სწორი ტაქტიკა და ამის შემდეგ იგი სათავეში უნდა ჩაუდგეს ფართო დემოკრატიას. წინააღმდეგ შემთხვევაში,—ეს მძლავრი ძალა მას საშინელ შედეგს უმზადებს.

კერენსკის მთავრობამ ლენინი შობა. ლენინის მთავრობას კი ანარქიის დამყარებით მონარქიისკენ მივყევართ. კერენსკ-ლენინის მთავრობა ეს ორი უკიდურესი მთავრობაა. პირველი—ლიბერალურ-კონსერვატიული, ხოლო მეორე—ბლანკისტურ-ანარქისტული. დემოკრატია ვერც ერთ ამათგანს ვერ გაჰყვება. დემოკრატიამ თავის დროზევე წამოაყენა თავის შესაფერი ლოზუნგი—ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობა. იგი დღესაც ამ გზას ადგია. და ვინც ამას მიიღებს—მომავალიც მისია. სოც.-დემოკრატ-მენშევიკებმა ამ მოვლენას დროზე აუღეს ალღო და იგი არის მისი მთავარი ხელმძღვანელი.

ლენინის მთავრობა კერენსკისას გაჰყვება.

**მიხ. თამაზაშვილი.**

## ტრაპიზონის დარბევა

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ახალი შემადგენლობა შეიკრიბა 15 დეკემბერს. ახალ საბჭოში უმრავლესობას ბალშევიკები შეადგენენ. ძველმა საბჭომ ჯერ კიდევ 10 დღით ადრე გამოაცხადა ძალა-უფლების საბჭოს ხელში გადასვლა, რომ ამით რამოდენიმეთ აღედგინა ის დაცემული ავტორიტეტი, რომელიც უკანასკნელ ხანებში ემჩნეოდა ფართო მასსაში. ანარქია თანდათან იკიდებდა ფეხს და ბალშევიკების აგიტაციამ სრულებით ნდობა დაუკარგა საბჭოს.

მიუხედავად ამისა, სერიოზულ ექსცესებს ალაგი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთი თვის წინად ქალ. პლატნის დარბევას (ტრაპეზონიდან 12 ვერსზეა) და ტრაპეზონში პატარა დარბევას, სადაც გასტეხეს ორი მაღაზია, მაგრამ ბევრის წაღება ვერ მოასწრეს. საბჭოს პრეზიდიუმი და ქალაქის თავის ენერგიულმა ჩარევამ დროზე მოუღო ბოლო დარბევას. ემჩნეოდა, რომ ხსენებული პირების საქმეში ჩარევას ოდნავ მაინც პატივს სცემდენ და ანგარიშს უწევდენ. უკანასკნელ ხანებში ჯარების პოზიციიდან მასსიურმა დაძვრამ, საიდანაც მოდიან როგორც განთავისუფლებულნი, ისე თავისი ნებითაც, მთლად არია ყველაფერი. არავინ არავის ყურს აღარ უგდებს. რაკი ახალი საბჭო შედგა და რაკი უმრავლესობამ ბალშევიკებს განუცხადა ნდობა, გვეგონა, საქმე ნორმალურ ხასიათს მიიღებდა, მაგრამ თითქოს ამას უცდიდენო! 15 დეკემბერს დაიწყო პლატნის ხელმეორე რბევა, სადაც ანადგურებდენ უმთავრესათ, თამბაქოს საწყობებს, რომელსაც საბჭომ რეკვიზიცია უყო ჯარის საჭიროებისათვის.

17 დეკემბერს დილიდანვე არა ჩვეულებრივი მდგომარეობა ემჩნევა ქალაქს. მთვრალებს უკანასკნელ ხანებში ხშირათ ხვდებით, მაგრამ დღეს მატროსების მთელი ჯგუფი დადიან მთვრალები. მათ გარშემო თავს იყრიან ცნობის მოყვარე ჯარისკაცები და ისეთებიც, რომლებიც ალბათ ფიქრობენ ასეთ სანახაობას რამე უნდა მოჰყვეს და ხელის მოთბობას ელის.

მთვრალი მატროსების რაზმი, ხან ერთ კედელს მიეხეთქებიან, ხან მეორეს, ხან ერთ ქუჩაში იყრიან თავს, ხან მეორეში. აგერ მეორე ჯგუფიც გამოჩნდა მთვრალი მატროსების. მღერიან, ილანძღებიან, ყვირიან, დაკეტილ მაღაზიების კარებს მუშტებს სცემენ და ასე ჰაერი იჟღინთება თანდათან საშინელი ამბების მოახლოვებით. ქუჩები ივსება ჯარისკაცებით. შუადღისას თურქესტანის ქუჩა გაჭედილია ჯარის[illegible]. ანადგურებენ მაღაზიებს, მ[illegible] მატროსების და სალდათების ხელმძღვანელობით. საბჭო[illegible] [illegible] ბალშევიკების ლიდერები თავგამოდებით მუშაობენ, ცდილობენ [illegible] დაიშალონ, მაგრამ მდგომარეობა თუ უარესდება, თორემ არ უმჯობესდება. სცემეს ზემსკოის,—საბჭოს წევრს. ხელი წაჰკრეს და ცემა მოუნდომეს კვირკელიას (საბჭ. თავმჯდომარეს).

ისმის ხმები საბჭოს წინააღმდეგ; ზოგი მოუწოდებს ბურჟუების დასარბევათ. ვინ ვის ამშვიდებს, ვინ ვის ლანძღავს—ვერ გაარჩევ. მიზანი ერთია: რაც შეიძლება მეტი დაამტვრიონ და წაიღონ. ნაშუადღევს თითქოს რამოდენიმეთ მიწყნარდა რბევა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ იფეთქა მეტის სიძლიერით. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეუდგა შესაფერ ზომების მიღებას: გააძლიერა შეიარაღებული რაზმი, რომელიც გაზზორებულათ ისვრის ჰაერში ბრბოს გასაფანტავათ. გამოაცხადა სამხედრო წესები. იჭერენ დამრბევთ ნივთებით ხელში და მოჰყავთ საბჭოში. საბჭოში მრავლათ მოიტანეს ნაძარცვი ნივთები. საბჭოს უზარმაზარი შენობა გაივსო დაჭერილებით. ივსება ადგილობრივი გაუპტვახტი და სხვა ადგილები. ქალაქის ერთ ნაწილში ჯარის ნაწილი იარაღით ხელში გამოვიდა მძარცველების დასაცავათ. სცემეს და ვინტოვკა წაართვეს ერთ დარაჯს, რომელმაც თავს უშველა. ზოგ ალაგას ბრბო მოითხოვს დაჭერილების განთავისუფლებას, მაგრამ ხერხდება მათი დაწყნარება. დაჭერილებში მრავლათ არიან ქართველი და სომეხი ჯარისკაცები.

საბჭოში მოათრიეს მძიმე კასა ბერძნების ბანკის, რომლის კარები ლომით არის ჩანგრეული და გახვრეტილი, მხოლოდ მთლათ მისი გატეხა ვერ მოუსწრიათ. ერთი მძიმე კასა ქუჩაში გდია. მთელი საბჭოს საუკეთესო ძალები, ბალშევიკების მეთაურობით თავგამოდებით მუშაობენ, მთელი ღამე ქუჩაში არიან. სროლა მთელ ღამეს არ შეწყვეტილა. მოაქვთ სხვადასხვა ნაწილებიდან იარაღი და აიარაღებენ საბჭოს წევრებს. 18 დეკემბერს დილიდანვე კვლავ გრძელდება ზოგ ალაგას რბევა. საბჭო ოფიციალურათ აცხადებს ქალაქში სამხედრო წესებს და მოწოდებას უშვებს. საჩქაროთ შესდგა სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი და სამხედრო-რევოლიუციონური სასამართლო. სასამართლომ თავის მოქმედება შიგ გაუპტვახტში გახსნა. არ გაუვლია ერთ საათს, რომ საშინელი სროლა აუტეხეს გაუპტვახტს. სასამართლო დაფრთხა: ეგონა, მას აუტეხეს სროლა. გამოირკვა დატუსაღებულებმა მოაწყვეს თურმე კარში გასასვლელათ გარედან ბრბოს წაქეზებით. დარაჯებმა რამდენიმეჯერ გაისროლა ჰაერში. სასამართლო გარბის და იკრიბება საბჭოში. იქ მიჰყავთ რამდენიმე პირისაგან შემდგარი, ორგანიზაციულათ მოწყობილი ჯგუფი არაყის სპეკულიანტებისა. მათ ბინაზე იპოვნეს რამოდენიმე ვედრა სპირტი, საიდანაც გამოდიოდენ მთვრალი მატროსები და ჯარისკაცები. სპირტი დაუყონებლივ გადაღვარეს საბჭოს განკარგულებით. სიწყნარის ჩამოვარდნის შემდეგ სასამართლო კვლავ გაუპტვახტში დაბრუნდა. დაკითხვისა და საქმის გამორკვევის შემდეგ მცირე დამნაშავეები პირობის ჩამორთმევის შემდეგ გაანთავისუფლეს. წამქეზებლების და დამრბევთა სევასტოპოლში გადაგზავნა გადავიდა იქაურ საბჭოს განკარგულებაში. ქართველ ჯარისკაცების შესახებ დაადგინა: გამოცხადდეს მათი გვარები ქართულ გაზეთებში, რომ აუწყონ ქართველ საზოგადოებას მათი ვინაობა. საბჭოში დადგეს ტყვიის მფრქვეველები. მოაწყვეს ავტომობილები ტყვიის მფრქვეველებით. აწყობენ რაზმებს. აიარაღებენ ყველას, ვინც კი საიმედოა, განურჩევლათ მიმართულებისა. სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს და სასამართლოს განუწყვეტელი სხდომები აქვთ.

თანდათან წესიერება ფეხს იკიდებს და საღამო ხანს წესრიგი დამყარდა.

ფხიზელმა მატროსებმა მთვრალი მატროსები დაიჭირეს და სასწრაფო გემით პირდაპირ სევასტოპოლში გაგზავნეს იქაური საბჭოს განკარგულებაში.

12 დეკ. ქალაქში წესრიგია. საბჭოს იცავს ქართველების გვარდია, სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი და სასამართლო განაგრძობს ენერგიულ მუშაობას. სასამართლომ 17 კაცს გადაუწყვიტა სევასტოპოლის საბჭოს განკარგულებაში გაგზავნა სხვა და სხვა ვადით ციხეში გასაჩერებლათ. მათ შორის სპირტით მოვაჭრეთა ხელმძღვანელი 3 თვით ციხეში იგზავნებიან სევასტოპოლში. სხვები კი როგორც ძარცვის ალაგს დაჭერილები, ნივთებით ხელში. თავისუფლების მოედანი, სადაც ყოველ დღე, აუარებელი სალდათი ვაჭრობდა სახაზინო ნივთებით, სრულებით ცარიელია.

**ივლ. ესიკაშვილი.**

## საზავო მოლაპარაკება

პირველი კრება გაიხსნა ბრესტ-ლიტოვსკში ლეოპოლდ ბავარიელის სიტყვით. გერმანიის მხრით თავმჯდომარეობს საგარეო საქმეთა მინისტრი კიულმანი, ავსტრო-უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჩერნინი, ოსმალეთის მხრით დიდი ვეზირი ნაზიმ ბეი, ბულგარეთის მხრით—იუსტიციის მინისტრი პაპოვი. კრების გახსნისას კიულმანმა წინადადება შეიტანა, რომ თავმჯდომარეობა რიგ რიგობით იკისრონ ცალ-ცალკე დელეგაციების წარმომადგენლებმა, ჩვენმა დელეგაციამ მოითხოვა კრება საჯარო ყოფილიყო და უფლება ქონებოდათ ოქმების გამოქვეყნების, რაც მიღებულ იქმნა. რუსეთის დელეგაცია ხელმძღვანელობს რევოლიუციონურ რუსეთის ხალხის ნებით, რაც შეიძლება საჩქაროთ ჩამოგდებულ იქნას საყოველთაო დემოკრატიული ზავი. დელეგაციის აზრით ასეთ ზავის ერთად-ერთ პრინციპათ შეიძლება აღიარებულ იქნას ზავის შესახებ დეკრეტში გამოთქმული პრინციპები, რომელიც ერთხმათ მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და გლეხთა ყრილობაზე, ამ დეკრეტით მოვითხოვთ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს ხალხთა თვითგამორკვევის ნიადაგზე, ამ პრინციპების თანახმად რუსეთის დელეგაცია წინადადებას აძლევს ზავის მოლაპარაკების საფუძვლათ დაედვას შემდეგი ექვსი მუხლი.

1) არ შეიძლება არც ერთ იმ ადგილების შემოერთება, რომლებიც ომის დროს ხელში ჩაიგდეს. ასეთ ადგილებიდან საჩქაროთ უნდა გაიყვანონ ჯარები.

2) აღდგენილ უნდა იქნას სრული პოლიტიკური დვმოუკიდებლობა იმ ხალხის, რომელიც ომამდე ამას მოკლებული იყო.

3) ნაციონალურ ჯგუფებს, რომლებსაც არ ჰქონდათ პოლიტიკურათ დამოუკიდებლობა, შეძლება უნდა მიეცეთ თავისუფლათ გადასწყვიტონ საკითხი ეკუთვნოდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს ან საკუთარ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის საშუალებით. ეს რეფერენდუმი ისე უნდა იქნეს მოწყობილი, რომ ყველა მცხოვრებთ სრული თავისუფლება მიეცეთ ხმის მიცემის დროს, ემიგრანტების და გადმოხვეწილების გამოუკლებლათ.

4) იმ ტერიტორიის შესახებ, რომელზედაც სხვა და სხვა ერები ცხოვრობენ, უმცირესობის უფლება დაცულ იქნება საგანგებო კანონით, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მათ ნაციონალურ-კულტურულ დამოუკიდებლობას და თუ შესაძლებელი იქნება ადმინისტრატიულ ავტონომიასაც.

5) არც ერთი მებრძოლი სახელმწიფო ვალდებული არ არის გადაუხადოს მეორეს კონტრიბუცია; რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ „სამხედრო ხარჯებს", ეს უნდა დაუბრუნდეს ომის დროს დაზარალებულ კერძო პირთა ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს საგანგებო ფონდიდან, სადაც პროპორციონალურათ უნდა შეიტანონ ყველა მებრძოლმა სახელმწიფოებმა.

6) საახალშენო კითხვები სწყდება 1, 2, 3 და 4 მუხლებში აღნიშნულ პრინციპების მიხედვით. ამას გარდა რუსეთის დელეგაცია წინადადებას აძლევს მებრძოლ მხარეებს აღიარონ, რომ ნება არ ქონდეს რომელიმე ძლიერ ერმა არაპირდაპირი საშუალებით შეზღუდოს სუსტი ერის თავისუფლება, როგორც მაგალითათ: ეკონომიური ბოიკოტი, ერთი ქვეყნის მიერ მეორეს მეურნეობის მხრით დამორჩილება, საიდუმლო საბაჟო შეთანხმება, რომელიც ავიწროებს მესამე ქვეყნის ვაჭრობის თავისუფლებას, ზღვაზე ბლოკადა, თუ ამას ომის მიზანი არა აქვს და სხვა.

ამ დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ კიულმანმა განაცხადა, რომ დანარჩენი დელეგატები თხოულობენ კრების შეწყვეტას, რომ მოილაპარაკონ. კრება შესწყდა მეორე დღემდე.

**გერმანია-ავსტრიის დელეგაციის** მოსვლის მიზანი დღემდის გამოურკვეველია. როგორც ვიცით დელეგაციის წევრებმა განაცხადეს ჩვენ მოვედით პეტროგრადში არა თუ ტეხნიკური ხასიათის საკითხების მოსაგვარებლათ, რაც გამოწვეულია დროებითი შერიგების ჩამოგდებით, არამედ იმ საკითხების წინასწარ გასარკვევათ, რომლების მოგვარება აუცილებელია, რათა ავსტრია-გერმანია-რუსეთს შორის აღდგენილ იქნას ნორმალური ეკონომიური დამოკიდებულებანიო. როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, დელეგაციას აზრათ აქვს სახალხო კომისართა წინაშე შეეცადოს მიიღოს ნებართვა რუსეთიდან სხვადასხვა სურსათის გატანის შესახებ, რომელთა ნაცვლათ აღუთქვამენ ახლო მომავალში ავსტრია-გერმანიიდან შემოიტანონ ფაბრიკული ნაწარმოებნი. გერმანელები აღნიშნავენ, რომ უკეთუ ჩვენს გეგმას მიიღებთ ამ საკითხის შესახებ, პეტროგრადში და მოსკოვში შესამჩნევათ გაიაფდება ცხოვრება, რაც ბალშევიკების მთავრობას ხალხის თვალში სახელს გაუკეთებს და გაამაგრებს მასო. არის საბუთი ვიფიქროთ, რომ ამას გარდა ავსტრია-გერმანიის დელეგაციას სხვა მიზნებიც აქვს დასახული. მართლაც, მარტო სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენაზე რომ ყოფილიყო საქმე, საკმაო იქნებოდა დელეგაცია 10—15 კაცისაგან შემდგარი. ჯერჯერობით პეტროგრადში მოსულია გერმანელი, ავსტრიელი, ბოლგარელი და ოხმალო 200 კაცამდე. ამათში ცხრა მეათედი შტაბის და ჯარის აფიცრები არიან. ამათ გარდა კიდევ მოელიან ამ დღეებში გერმანელ და ავსტრიელ აფიცრებს. გუშინ საღამოს მთავარ ტელეგრაფში მივიდა ორი გერმანელი აფიცერი, რომელთაც უცნობნი პირნი ახლდენ თან. ოფიცრებმა ტელეგრაფში ქაღალდი წარადგინეს სმოლნი ინსტიტუტიდან, რომ მათთვის ყოველგვარი დახმარება გაეწიათ. ამის შემდეგ მოსულმა ოფიცრებმა ერთ-ერთი ოთახი დაიკავეს მთავარ ტელეგრაფში, სადაც ტელეგრაფის აპარატებია მოთავსებული, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი გარეკეს და ტელეგრაფით დაიწყეს ლაპარაკი. რის შესახებ, ან ვის ელაპარაკებოდენ ოფიცრები, ეს სმოლნი ინსტიტუტის საიდუმლოებათ რჩება. („ნ. ღ.").

**ზავის სასარგებლო დემონსტრაცია** პეტროგრადში დანიშნეს ბალშევიკებმა 17 დეკემბრისთვის. ამ დემონსტრაციას „ნოვი ლუჩი" უწოდებს ტრაღიკულ დემონსტრაციას და სხვათა შორის სწერს: „სარგებლობენ რა ბალშევიკები ხალხის ზავის წყურვილით და აგრეთვე იმ რწმენით, თითქოს ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში ერთათ ერთი ხსნა იყოს, ეს საზავო დემონსტრაცია მათ სურთ გადააქციონ დამფუძნებელ კრების საწინააღმდეგო, სამოქალაქო ომის სასარგებლო დემონსტრაციათ. ბალშევიკურ მთავრობას სურს აიძულოს მუშები და ჯარისკაცები კიდევ ერთი წიხლი ჩასცენ მათ დამფუძნებელ კრებას, რომელსაც შეუძლია მისცეს რუსეთის და აგრეთვე მსოფლიო დემოკრატიას მათთვის ხელსაყრელი ზავი.

სმოლნი ინსტიტუტში აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ეს დემონსტრაცია უკიდურესი ექსცესებით დამთავრდესო, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, აუცილებლათ მიაჩნიათ ამგვარი დემონსტრაციის გამართვა. დემონსტრაციის მიზანია მუშათა და ჯარისკაცთა სულიერათ გამხნევება და აგრეთვე, ავსტრო-გერმანიის დელეგაციის წინაშე ბალშევიკური ძალების გამოფენა. 16 დეკემბერს ღამით სმოლნის განკარგულების თანახმათ პეტროგრადის ქუჩები პატრულებმა და წითელ გვარდიელებმა დაიკავეს. პეტროგრადის საბჭოს განკარგულებით დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ ჯარის ყველა ნაწილები შეიარაღებულნი.

პირველი ყრილობის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს მუშებს ნუ მიიღებენ მონაწილეობას ამ სამარცხვინო დემონსტრაციაში, ვინაიდან ბალშევიკებს სურთ მუშები და ჯარისკაცები ჩაითრიონ დამფუძნებელი კრების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

16 დეკემბერს საღამოთ მოხდა მრავალ-რიცხოვანი კრება ზარბაზნის საკეთებელ ქარხნის მუშებისა. მოსალოდნელი დემონსტრაციის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ბალშევიკების მიერ განზრახული დემონსტრაცია მიმართულია დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ ერთს მას შეუძლია ხალხისთვის ხელ-საყრელი ზავის ჩამოგდება. ბალშევიკების ზავს კი დაღუპვის კარამდე მიყავს რუსეთი; ბალშევიკები მოუწოდებენ მუშებს და ჯარისკაცებს ქედი მოიხარონ პეტროგრადში მოსული ავსტრო-გერმანიის დელეგაციის წინაშე და მიიღონ მათ მიერ წამოყენებული საზავო პირობები. ამიტომ ჩვენ უარვყოფთ ამ სამარცხვინო დემონსტრაციაში მონაწილეობას. გამოვალთ ქუჩაში მხოლოდ მაშინ, როცა საჭირო იქნება დამფუძნებელი კრების დაცვა, როცა დემონსტრაცია საჭირო იქნება ისეთი ლოზუნგების დასაცავათ, როგორიცაა: „გაუმარჯოს **საყოველთაო** დემოკრატიულ ზავს, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას: **მთელი ძალა-უფლება** დამფუძნებელ კრებას! ამ გვარივე შინარსის რეზოლიუციები იქნა გამოტანილი ბევრ სხვა ქარხნებშიაც.

## რუსეთის ამბები

**ახალი ჟანდარმები.** 26 ნოემბერს დილის ექვს საათზე სარატოვის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჩერტკოვის (მენშევიკი) ბინაზე მივიდენ ბალშევიკების შეიარაღებული ძალები, რომ გაეჩხრიკათ ბინა.

სახლში მარტო ჩერტკოვის დედა იყო და ეგონა მძარცველები არიანო და „ახალი ჟანდარმები" სახლში არ შეუშვა. „ჟანდარმები" დაემუქრენ: თუ კარს არ გააღებთ დავამტვრევთ და სროლას ავტეხავთო.

ეს „ახალი ჟანდარმები" ვერ შეაჩერა იმ გარემოებამაც კი, რომ ჩერტკოვი სარატოვის ბუნდის ს.-დემოკრატიულ კომიტეტის თავმჯდომარე, რუსეთის ს.-დ. მ. პ. კომიტეტის წევრი, სარატოვის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე არის, წითელ გვარდიელები ურცხვათ შეიჭრენ ოთახში და იქაურობა გადააქოთეს ისე, როგორც ნიკოლოზ მეორეს მონა-მოსამსახურეები იქცეოდენ, რომლებიც ხშირი სტუმრები იყვენ მისი. 30 ნოემბერს დღის თორმეტ საათზე მენშევიკთა პარტიის კომიტეტის ბიუროს ბინასაც ეწვია სამი წითელი გვარდიელი და მოსთხოვეს ჩამოეგლიჯათ ფანჯრიდან „პოვოლჟიის პროლეტარი"-ს კომიტეტის მოწოდება. კომიტეტის ერთმა წევრმა, რომელიც ამ დროს იქ იყო, მოსთხოვა მათ ორდერი. „რა ორდერი, რის ორდერი—ლრეჭით წარმოსთქვეს. მათ,—ჩვენ უორდეროთაც კარგათ დავდივართ ქალაქში და ყველას ვჩხრეკთ და ვიჭერთო" წასვლის დროს ამ გმირმა „ჟანდარმებმა" რამდენიმე გაზეთი და ბალშევიკების ბელადების წინააღმდეგ გამოცემული მოწოდებები წაიღეს და არხეინათ გაუდგენ გზას.

**„ისკრის" რედაქცია** „ნოვი ლუჩის" 17 დეკემბრის ნომერში აცხადებს: „ვინაიდან პარტიაში მდგომარეობა შეიცვალა, პეტროგრადის ორგანიზაციათა კომიტეტის დადგენილებით 10 დეკემბრიდან „ისკრის" გამოცემა შეჩერებულია. რედაქცია სთხოვს ამხანაგ-თანამშრომლებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ პარტიის ცენტრალურ ორგანო „ნოვი ლუჩში. მოვუწოდებთ ყველა ამხანაგებს და პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთაც „ისკრა" ჰქონდათ გამოწერილი, დღეიდან გაიწერონ „ნოვი ლუჩი". „ნოვი ლუჩის" პასუხის მგებელ რედაქტორებათ არიან: დანი, მარტოვი და მარტინოვი.

**დონის ოლქში** ამ ჟამად კაზაკების მობილიზაცია ხდება. ეს მობილიზაცია ეხება როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს; მამაკაცები 20 წლამდე და ყველა დედაკაცები ვალდებულნი არიან იმსახურონ მზვერავთა, ტრანსპორტის და სხვა ამ გვარ რაზმებში. დანარჩენი მამა კაცები ყველანი უნდა შეიარაღებულ იქნენ. მობილიზაცია 24 საათში მოხდა. ხნიერი კაზაკების მობილიზაცია სულ 4 წლისა განსაკუთრებით საჩქაროდ მოხდა.

**მუშათა სულიერი განწყობილება** პეტროგრადში ამ უკანასკნელ ხანებში ბალშევიკების სასარგებლოთ არას ამბობს. ბალშევიკებს თანდათან შორდება მუშები. დიდი ნაწილი გადადის ანარქისტებში, მცირე ნაწილი მენშევიკებისკენ. ეს დამტკიცდა ამ დღეებში მომხდარი არჩევნების დროს პეტროგრადის მხარეზე. მაგ., სამხედრო-საექიმო წამლების მოსამზადებელ ქარხანაში მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნების დროს მენშევიკებმა მიიღეს 723 ხმა, ბალშევიკებმა 762. ერთი თვის უკან საქარხნო კოლექტივის არჩევნების დროს ამ ქარხანაში ბალშევიკებმა მიიღეს 1250 ხმა. უკანასკნელ არჩევნების დროს ორი სია იყო. არც ესერები და არც „ობორონცები" საკუთარი სიებით არ გამოსულან, ვინაიდან მათ ცოტა მიმდევრები ჰყავთ. ო. კირხნერის ქარხანაში ამხ. ერმანსკის სიტყვის შემდეგ ბალშევიკების მომხრე მუშა ქალებს თვალებზე ცრემლებიც კი მოადგათ. არჩეულ იქნენ საქარხნო კოლექტივში 5 მენშევიკი და 6 ბალშევიკი. წინეთ ამ ქარხანაში 21 ადგილში მენშევიკებმა მხოლოდ 3 ადგილი მიიღეს. გეისლერის ქარხანაში არჩეულ იქნა 7 ბალშევიკი და 4 მენშევიკი.

ტორტონის ქარხანაში შესდა მუშების მიტინგი, რომელსაც დაესწრო 800-მდე მუშა. ილაპარაკეს დამფუძნებელი კრების ზოგიერთმა დეპუტატებმა. კრებამ ერთხმად რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც მოითხოვენ მთელი ძალა-უფლება დამფუძნებელი კრებისთვის გადაცემას, მის ადრე მოწვევას, პროტესტს აცხადებენ პრესის თავისუფლების წინააღმდეგ ნახმარი ძალადობის შესახებ და სხ.

სიმენს-გალსკეს ქარხანაში მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელ-ახალი არჩევნების დროს ერთი ადგილი მიიღეს ბალშევიკებმა, ერთი მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმა.

**სრულიად რუსეთის რკინის გზის** ყრილობის შემადგენლობიდან პეტროგრადში უკვე მოსულა 275 წევრი. ამათში უპარტიოა 29 კაცი, ბალშევიკი 42, ესერი 36, მენშევიკი 28, მემარცხენე ესერი 18, სოც.-დემ. ინტერნაც. 2, სახ. სოც. 8, გაერთიანებ. სოც.-დემ. 4, მაქსიმალისტი 3, უკრაინელი 4, პოლ. სოც. (პ. პ. ს.) 1.

მოსკოვში მბეჭდავთა კონფერენციაზე უარყვეს ბალშევიკების წინადადება, რომ პრეზიდიუმი ფრაქციების მიხედვით შეედგინათ. კონფერენციის აზრით პრეზიდიუმი უნდა აერჩიათ მიუხედავათ იმისა, თუ რომელ ფრაქციას ეკუთვნოდა ესა თუ ის წევრი პრეზიდიუმისა. ბალშევიკებმა ამის გამო პროტესტი განაცხადეს და სთქვეს, რომ კონფერენციას დავტოვებთო. ამის გამო კონფერენციამ მენშევიკ კიბრიკის რეზოლიუცია მიიღო, სადაც პროტესტს აცხადებს ბალშევიკების მიერ კონფერენციაზე უთანხმოების შეტანის გამო. პრესის თავისუფლების შესახებ მოხსენებები გააკეთეს ფრაქციების წარმომადგენლებმა. მენშევიკების და ესერების წარმომადგენლებმა მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს პრესის თავისუფლების დასაცავათ. ბალშევიკების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისტორიაში არის ისეთი ხანა, როცა გაყვლეფილი კლასის ინტერესების დასაცავათ უნდა ძალადობას მივმართოთო. ამ ძალადობას იძულებითი ხასიათი აქვს, მაგრამ ის ამაგრებს დემოკრატიის ძალა-უფლებასო. ბალშევიკის ლაპარაკის დროს კონფერენციის მონაწილეთა საპროტესტო ხმები ხშირად ისმოდა. კონფერენციამ დაადგინა მისალმებითი დეპეშა გაეგზავნოს იმ გაზეთებს, რომელიც არ დაემორჩილენ საბჭოს პრეზიდიუმის დეკრეტს და მაინც გამოდიან.

**სასურსათო საკითხის საქმე** სატახტო ქალაქებში მეტად გამწვავებულია. საქმე იმაში, რომ დამფუძნებელი კრების თავის დროზე შეკრების იმედით სოფელი პურს იძლეოდა. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში პეტროგრადში მოდიოდა დღიურათ 35 ვაგონი პური, მაგრამ რამდენათ გაძლიერდა სამოქალაქო ომი, იმდენა იკლო პურმა. განსაკუთრებით ეს დაეტყო პირველი დეკემბრიდან. მაგ. 11 დეკემბერს სულ შემოვიდა პეტროგრადში 7 ვაგონი, 12—1 ვაგონი, 13—8 ვაგ., 14—4 ვაგონი. პროვინციებიდან მიღებული დეპეშების თანახმათ გაუმჯობესებას ამ მხრით არ უნდა ველოდეთ. ბევრ სადგურებზე დატვირთულ პურს არ გზავნიან, სანამ დამფუძნებელი კრება არ გაიხსნებაო. ამავე დროს გლეხები თურმე მეტად მტრულად ეპყრობიან კომისართა მიერ სარეკვიზაციოთ გაგზავნილ პირებს. ვიტებსკის გუბერნიის სად. ილინკაზე გლეხებმა კიდეც სცემეს პურის სარეკვიზიციოთ გაგზავნილ პირებს. გაზეთების სიტყვით, თუ ასე გაგრძელდა საქმე, პეტროგრადს აუცილებლათ შიმშილი მოელის, ვინაიდან საკმაო სურსათი ყოფილა მხოლოდ 5—6 დღისა.

ვიკჟელის სხდომაზე 16 დეკემბერს გამოცხადდენ დამფუძნებელი კრების ზოგიერთი დეპუტატები და სთხოვეს ვიკჟელს დახმარება აღმოუჩინოს სურსათის შემოტანის საქმეში. ამასთან დეპუტატებმა სთხოვეს სურსათი გამოგზავნონ პეტროგრადში პირდაპირ დამფუძნებელი კრების სახელზეო. ვიკჟელის წევრებმა აღუთქვეს მათ ყოველივე დახმარება.

**დამფუძნებელი კრების დაცვის კავშირი** 16 დეკემბერს დაარბიეს პეტროგრადში. ნაშუადღევის სამ საათზე ლიტეინი პროსპექტზე სახ. № 21-ში, სადაც მოთავსებულია ეს კავშირი, გამოცხადდენ ავტომობილით ჯარისკაცები, რომელთაც [illegible] კომისარი". ჯარისკაცები შევიდნენ კავშირის სადგომში. [illegible] შემდგარი კომისიის ორდერი, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ბრძოლა კონტრ-რევოლიუციის, საბოტაჟის და სპეკულიაციის წინააღმდეგ; ორდერი ხელმოწერილი იყო თავმჯდომარის ჯუღაშვილის მიერ. ორდერში ეწერა: ენდობა ამხანაგ ხოდუნოვსკის ლიტეინის პროსპექტზე სახლის № 21 მეექვსე სართულში მოახდინოს ჩხრეკა და თუ საჭიროთ დაინახავს დააპატიმროს, როგორც სხვადასხვა იქ მყოფი პირები, ისე დოკუმენტებიც. ვინაიდან კავშირის ბიუროში გამჩხრეკავებს განუცხადეს, რომ ამ გვარი დოკუმენტით შეუძლებელია გაჩხრეკა, რადგან მასში არ არის მოხსენებული ბინის ნომერიო და სხ., ჯარისკაცები წავიდენ. კავშირში მყოფი ხალხიც წავიდა, რადგან მათ კარგათ იცოდენ, თუ რას ნიშნავს ბალშევიკური ჩხრეკა. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გამოცხადდენ ჯარისკაცები, ალბათ, ახალი ორდერით. დაიკავეს ყველა გამოსასვლელი კარები და შეუდგენ ჩხრეკას. დააპატიმრეს გაერთიანებული ს.-დ. მ. პარტ. ცენტრ. კომიტეტის წევრი ერმოლაევი, „რაბოჩაია გაზეტას" თანამშრომელი ვაინშტეინი, მუშ. და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პირველი ცენტრ. კომიტეტის წევრი ბ. ო. ბოგდანოვი, აგრეთვე—ს. მ. ტოპერი, ლევიცკი, მაგიდოვიჩი, პოლიანსკი, კრივინსკაია, ნაფიცი ვექილი დ. ი. ხოზანი და კავკასიის ჯარების წარმომადგენელი იზმაილოვი. იზმაილოვმა პროტესტი განაცხადა და მოითხოვა ოქმში შეეტანათ, რომ ის კავკასიის ჯარის წარმომადგენელია, მაგრამ ამაზე მას უარი უთხრეს. როგორც ამბობენ, დაპატიმრებულთ დააკავებენ კავშირის სადგომში განუსაზღვრელი დროთი. ყველა გამოსასვლელ კარებთან შეიარაღებ. დარაჯები დგანან.

შავი ზღვის ფლოტი დამფუძნებელ კრებას იცავს. მოხდა შეერთებული სხდომა სევასტოპოლის მუშათა, ჯარისკაცთა, სამხედრო პირთა, ცენტროფლოტის, ქალაქის საბჭოს, ყველა პოლიტიკური და სოციალისტური პარტიების, გემების და ნაპირზე მომუშავეთა კომიტეტებისა. სხდომამ გაარჩია ის კონფლიქტი, რომელიც ჩამოვარდა სახალხო კომისართა და უკრაინის რადას შორის. სხდომა მოითხოვს: ომის შეწყვეტას შინაგან ფრონტზე, ვინაიდან ეს დაასამარებს რევოლიუციას. დამფუძნებელი კრების დაპატიმრებული დეპუტატების განთავისუფლებას და თვით დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ გახსნას და მისთვის მთელი ძალა-უფლების გადაცემას.

## კავკასიის მუშათა დეპ. საბ. საგანგებო ყრილობა

(მეოთხე დღე 22 დეკემბერი.)

თავმჯდომარეობს ამხ. ნოე რამიშვილი. გრძელდება კამათი მიმდინარე მომენტის შესახებ.

ამხ. **პ. წულაია** ამბობს, რომ ჩვენ იატაკ ქვეშ მუშაობის დროს გვასწავლიდენ, რომ ბიუროკრატიული წყობილების დამხობის შემდეგ უნდა აღორძინდეს წყობილება დემოკრატიულიო. ამისთვის კი საჭირო იქნება დამფუძნებელ კრების მოწვევაო, დღეს კი ანგარიშს არ უწევენ რუსეთის ჩამორჩენილობას და თვითმპყრობელობის მოსპობის შემდეგ უნდათ განახორციელონ სოციალიზმი, რაც ნამდვილი უტოპიაა. ცალკე პიროვნებები შეცდებიან, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ შეცდომას იზიარებს მუშების ნაწილი. შემდეგ ორატორი არჩევს ბოლშევიკების დღევანდელ პროგრამას, ტაქტიკას და ასკვნის, რომ მათ უღალატეს როგორც მარქსისტულ პროგრამას, ისე ტაქტიკასო. დასასრულ ორატორი მოითხოვს გაეგზავნოს მისალმების დეპეშა დამფუძნებელ კრებას და სასტიკი პროტესტი გამოეცხადოს ყველა იმას, ვინც ძალადობას ხმარობს სახალხო წარმომადგენლობაზე.

**კირთაძე** არ ეთანხმება მომხსენებელს და ამბობს, რომ რუსეთი ობიექტიური პირობებით იძულებული იყო ომში მონაწილეობა მიეღო, რომ გერმანიის ახალშენათ არ გადაქცეულიყოვო. იდეალური განვითარება რუსეთის მაშინ იქნება, როცა წარმოება მოხმარებას გაუსწორდებაო.

ამხ. **დ. ხართიშვილის** აზრით თუ ჩამოვარდა საყოველთაო ზავი ხომ კარგი, თორემ სეპარატიულ ზავსაც უნდა მივესალმოთ, თუ კი ის იქნება დამყარებული 14 მარტის პლატფორმაზე.

კამათი შეწყდა, ვინაიდან საკითხი სავსებით გამოირკვა. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

**ამხ. ნოე ჟორდანიას საპასუხო სიტყვა.** ამხანაგებო! ბალშევიკები ალბათ ასე მსჯელობდენ, ვინაიდან უმცირესობას შევადგენთ, აქ ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ, უმჯობესია გავშორდეთ ყრილობას და სხვა საქმე ვაკეთოთო. გუშინ

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები
ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.
ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДААЦІЯ „ЭРТОБА".
ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

მათ გამართეს კიდეც თათბირი კავკასიის ჯარის ყრილობის ბალშევიკ დელეგატებთან ერთად და გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები. მაგრამ კავკასიელ მენშევიკებმაც ვიცით პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმა, ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ვიბრძოლოთ და ბალშევიკების ექსპერიმენტებსაც შესაფერ პასუხს გავსცემთ. (ტაში). ჩვენი გზა თავიდანვე გარკვეულია და მას არ გადაუხვევთ ბალშევიკების მოქმედებით (ტაში). ჩვენ ვიცით საით მივდივართ, ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელ რევოლიუციამ უნდა დაამყაროს დემოკრატიული წყობილება. ამიტომ ჩვენ ვაერთიანებთ ყველა დემოკრატიულ ელემენტებს. ჩვენ არ ვღალატობთ ჩვენს პროგრამას. თუ სხვები კარგავენ გონებას, წონასწორობას, ჩვენ ვრჩებით ჩვენს პოსტზე ბოლომდის.

ამხ. საკიანის მეტათ საყურადღებო მოხსენებაში მხოლოდ ერთი მუხლი იწვევს ეჭვებს. ის ამბობს, რომ რუსეთის ბურჟუაზია სუსტია და არ შეუძლია ითამაშოს ის როლი, რომელიც შეასრულა საფრანგეთის ბურჟუაზიამ. მეც ვფიქრობ, რომ ჩვენი ბურჟუაზია არ ჰგავს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროის ბურჟუაზიას. არ უნდა მოვიტყუილოთ თავი, ბურჟუაზიაც არის და ბურჟუაზიაც. მაშინ საფრანგეთში სავაჭრო ბურჟუაზია ედგა სათავეში საქმეს და საშუალო ბურჟუაზია კი არაფრით განსხვავდებოდა დღევანდელ ჩვენ ბურჟუაზიისაგან. მაგრამ რევოლიუციის მსვლელობაში სწორეთ მაშინ მოხდა საყურადღებო ცვლილებები, როცა საშუალო და წვრილი ბურჟუაზია მოექცა რევოლიუციის სათავეში. თქვენ იცით, რომ ბალშევიკები ჯერ კიდევ 1905 წ. ამტკიცებდენ, რომ ბურჟუაზია ბუნებით კონტრ-რევოლიუციონური კლასიაო. მაგრამ ეს შეხედულება სავსებით დაამარცხა თებერვლის რევოლიუციამ. ამნაირათ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში პროლეტარიატი ძლიერ ძალას წარმოადგენს, ჩვენი ბურჟუაზია იმეორებს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას. თვითეული ნაცია, თვითეული კლასი ყოველთვის აკეთებს საკუთარ ისტორიას. მიბაძვა შეუძლია მხოლოდ ცალკე პიროვნებას და არა მთელ ერს, მთელ კლასს. მაგალითად, რომ დადგეს ისეთი პირობები, როგორიც ასი წლის უკან არსებობდა საფრანგეთში, ჩვენშიაც მოხდება ისეთივე გადატრიალება და იმავე კლასების მონაწილეობით. მაგრამ ეს მიბაძვა არ იქნება. ყველაფერი დამოკიდებულია კონიუნქტურაზე. ბალშევიკები სურვილებიდან გამოდიან.

მართალია, ბურჟუაზიის ჩამოშორება უკვე აშკარა გახდა, მაგრამ საშუალო და წვრილი ბურჟუაზია კვლავ დემოკრატიას მიყვება და ეს რომ ასე არ იყვეს, შეუძლებელი იქნებოდა რევოლიუციის მოხდენა. მარქსისტულ მოძღვრებაში, პარტიულ ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ სოციალური რევოლიუციის მოხდენა შეუძლებელია, თუ პროლეტარიატს მხარს არ უჭერს საზოგადოების უმრავლესობა. არც ერთი დიდი საზოგადოებრივ გადატრიალების მოხდენა არ შეიძლება, თუ იგი ნაციონალურ ხასიათის არ არის, ე. ი. მას თუ საზოგადოების უმრავლესობა არ იზიარებს. ეს მართალია როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ რევოლიუციის შესახებ. ამიტომ არის, რომ ხიშტით სოციალიზმის განხორციელების სურვილი ყოველთვის მარცხდება.

ახლა შევჩერდეთ მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოთა და დამფუძნებელ კრების ურთიერთობაზე, ჩვენ გვაქვს მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოები. ერთგვარი პოლიტიკური პირობები ერთგვარ შედეგებს წარმოშობენ. საფრანგეთში საბჭოების როლს თვითმართველობები ასრულებდენ და პარიზის, მარსელის და სხ. მუნიციპალიტეტები აძლევდენ საზოგადოებრივ ცხოვრებას ტონს დამფუძნებელ კრების მოწვევის შემდეგაც კი. რამდენიმე წლით არჩეული ხალხის წარმომადგენლობა რევოლიუციონურ ორგანოებთან შედარებით ყოველთვის ზომიერია. ეს ფაქტია და ამ რევოლიუციონურ დაწესებულებებმა ყოველთვის თვალყური უნდა ადევნონ დამფუძნებელ კრების მოქმედებას. უნდა არსებობდეს ძალა-უფლების ერთი დასაწყისი—ეს დამფუძნებელი კრებაა, რომელიც არჩეულია საყოველთაო საარჩევნო უფლებით. მაგრამ დამფუძნებელი კრება ან ცალკე მისი წევრები რომ არ ჩამოშორდენ რევოლიუციას—საჭიროა საბჭოებმა, თვითმართველობებმა და ერობებმა მოახდინონ გავლენა მათზე. აი, ამ აზრით უნდა გვესმოდეს დამფუძნებელ კრების შემდეგ მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოთა არსებობა. სხვაგვარი როლის დაკისრება საბჭოებისათვის არ შეიძლება. თუ ისინიც იქნენ სრულ ძალა-უფლებით აღჭურვილი, მაშინ არავითარ რევოლიუციონურ წესრიგის დამყარება არ შეიძლება. ბევრს ლაპარაკობენ საბჭოების ძალა-უფლებაზე. ჩვენ არ ვართ ამის წინააღმდეგი. ჩვენ თფილისში გამოვაცხადეთ სამხედრო წესები, მაშასადამე ვაღიარეთ საბჭოს ძალა-უფლება, მაგრამ ამას აქ არ გაუთიშავს რევოლიუციონური დემოკრატია. ცენტრში კი საბჭოების ხელში ძალა-უფლების გადასვლამ დემოკრატია გაყო. რაშია საქმე? ჩვენ დემოკრატიზმის სახელით ვაღიარეთ საბჭოს ძალა-უფლება. ცენტრში კი—სოციალისტური ექსპერიმენტების მოსახდენათ. მათ ავანტიურისათვის გადასცეს საბჭოებს ძალა-უფლება. ამან გამოიწვია განხეთქილება და სამოქალაქო ომი. იმათაც რომ ისეთივე მიზნები დაესახათ, როგორც ჩვენ—მაშინ სამოქალაქო ომიც არ იქნებოდა. საბჭოების ძალა-უფლებას დამფუძნებელ კრებამდე ვერ უარვყოფთ, მაგრამ მათ უნდა დაეკისროს გარკვეული მოვალეობა—დემოკრატიული საქმის კეთება, მაშინ საზოგადოების უმრავლესობა დაუჭერს მათ მხარს თუ მათ დავაკისრებ დღევანდელ წყობილების სოციალისტურათ გარდაქმნას, მაშინ მივიღებთ სამოქალაქო ომს და სწორეთ ასეთ ძალა-უფლებას უარვყოფთ ჩვენ.

ზარგარიანის სიტყვა დამახასიათებელი იყო იმ მხრით, თუ როგორ ესმით დღევანდელი რევოლიუცია ბალშევიკ მუშებს, ის ამბობს, რადგანაც რუსეთში დამყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა, უნდა ბატონობდეს დემოკრატია და არა ბურჟუაზიაო, აქ რომ იყოს ახლა ზარგარიანცი, ასეთ კითხვას მივსცემდი აი, ბაქოში, მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს ხელშია ძალა-უფლება; ის კი თავის ამხანაგებთან ერთათ მუშაობს ფაბრიკაში. განიცდის თუ არა ის დღესაც ფაბრიკაში ბურჟუაზიის უღელს? იდეია, რომ პოლიტიკური რევოლიუცია მოგვიტანს სოციალურ თავისუფლებასო—მეტათ საზარალო იდეიაა. ჩვენ პოლიტიკურ ცვლილებას უყურებთ, როგორც საშუალებას. ბალშევიკები ფიქრობენ, რადგანაც დემოკრატიული წყობილება მყარდება, ბურჟუაზიის ბატონობასაც ბოლო უნდა მოეღოსო. ზარგარიანმა და მის ამხანაგებმა რომ მთელი ფაბრიკა ჩამოართვან პატრონს, მაშინაც ვერ მოიშორებენ ბურჟუაზიის უღელს. ერთი ფაბრიკა კი არა, მთელი ბაქოც რომ ხელში ჩაიგდონ, მაშინ ვერ განთავისუფლდებოდენ ბურჟუაზიის კლანჭებიდან, ვინაიდან სოციალური რევოლიუცია—ეს ყველა ქვეყნების საქმეა, მსოფლიო ბაზარი, აი რა თამაშობს დიდ როლს, იგი თუ ბურჟუაზიის ხელშია, ეკონომიურ მონობისაგან განთავისუფლებაზე ფიქრი ამაო ოცნება იქნება. მათ, როგორც სჩანს, სოციალური რევოლიუცია რაღაც სათამაშო საგნათ აქვთ წარმოდგენილი, ასეთი წარმოდგენა სოციალიზმის, საზოგადოებრივ ცხოვრების ძირითად გარდაქმნის—არის ვულგარული გაგება, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის დასაწყისში, მას მერე გავიდა 100 წელი. დღეს ჩვენ მოგვეპოვება დიდი ლიტერატურა და გამოცდილება. მარქსმა საბოლოოთ დაასამარა ეს ზერელე წარმოდგენა სოციალიზმზე და ჩვენც სულ სხვა წარმოდგენა გვაქვს საზოგადოებაზე, ვინემ დღევანდელ ბალშევიკებს, რომლებიც სავსებით ჩამოშორდენ მარქსიზმს.

მე მომცენ შემდეგი კითხვები: 1) მხოლოდ დემოკრატიაში რომ შემდგარიყო კოალიცია, მოხდებოდა ბალშევიკების გამოსვლაო? ბალშევიზმი, როგორც ვთქვი, არის ყველა რევოლიუციის დამახასიათებელი მოვლენა. ის აუცილებელი იყო ჩვენი რევოლიუციის დროსაც, მაგრამ სწორი პოლიტიკის წარმოებით შეიძლებოდა მისი შესუსტება და არა მოსპობა. ივლისშიც ხომ მოაწყვეს ბალშევიკებმა გამოსვლა, მაგრამ მათ ვერ გაიმარჯვეს, ვინაიდან მასსა ჯერ კიდევ არ მისცემოდა სასოწარკვეთილებას, მას კიდევ ჰქონდა მთავრობის იმედი. მაგრამ, როცა გავიდა ერთი თვე, ორი, სამი, რვა—მასას დაეკარგა იმედი და გადავიდა ბალშევიკებისაკენ. აქედან აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ტაქტიკის წარმოებას. დემოკრატიულ თათბირზე ბალშევიკების წარმომადგენლები ამბობდენ, თუ შეადგენთ დემოკრატიულ მთავრობას, ჩვენ არ დაგიწყებთ ბრძოლას, ოღონდ მოგვეცით აგიტაციის თავისუფლება დამფუძნებელ კრების არჩევნებშიო. მაშასადამე რომ გასულიყო ჩვენი წინადადება ერთფეროვან მთავრობის შედგენის შესახებ, ოქტომბრის ამბებიც არ მოხდებოდა, ვინაიდან ყოველივე ცდა ამ მხრით დამარცხებით დათავდებოდა.

მეორე კითხვა: კადეტებთან კოალიციაა უზრუნველ ყოფდა დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევას? საქმე იმაშია, რომ კადეტები წინააღმდეგი იყვენ დამფუძნებელ კრების ომის გათავებამდე მოწვევის. დამფუძნებელ კრების მოწვევის პირველ ვადის გადადება სწორეთ მათი მიზეზით მოხდა.

ისინი ამბობდენ ახლა რევოლიუცია დაჭახლა არჩეული დამფუძნებელი კრებაც რევოლიუციონური იქნებაო. ომის გათავების შემდეგ კი მას უფრო ზომიერი ხასიათი ექნებაო. ბალშევიკები რამდენიმეთ მართალი იყვენ, როცა ამბობდნენ—კადეტები არ მოიწვევენ დამფუძნებელ კრებასო. მაგრამ დღეს ისინიც იმავე მეთოდით ებრძვიან დამფუძნებელ კრებას, როგორც კადეტები. დემოკრატიულ თათბირის შემდეგ, როცა კადეტებმა დაინახეს, რომ ბალშევიზმი თანდათან ძლიერდებოდა, გადასწყვიტეს მოეწვიათ დანიშნულ დროზე დამფუძნებელი კრება და თუ არ ოქტომბრის გამოსვლა, დღეს დამფუძნებელი კრება მოწვეული იქნებოდა.

მესამე კითხვა. ნუთუ დემოკრატიული მთავრობა დააკმაყოფილებდა ქვეყანას დამფუძნებელ კრებამდე? რა თქმა უნდა ვერ დააკმაყოფილებდა. მაგრამ თუ ასეთი მთავრობა გადადგამდა გადაჭრილ ნაბიჯებს, შესძლებდა მიეყვანა ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც გადასჭრიდა საბოლოოთ ყველა კითხვებს. მაშასადამე, მასსის შესაჩერებლათ საჭირო იყო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ამას შესძლებდა ერთფეროვანი მთავრობა. კოალიციურ მთავრობამ კი ეს ვერ მოიმოქმედა. ერთი წინ იწევდა, მეორე უკან, და მთავრობა ერთსა და იმავე ადგილს სტკეპნიდა.

მეოთხე კითხვა: დემოკრატიამ თუ ვერ შესძლო საკუთარ ხელში ძალა-უფლების აღება, როგორ უნდა შეგვედგინა ერთფეროვანი მთავრობა? რა თქმა უნდა ვერ შევადგენდით. ოქტომბრის გადატრიალება შემთხვევით მოვლენა არ არის. რადგანაც დემოკრატიამ უარი განაცხადა ძალა-უფლებაზე, ამის მიზეზი ოქტომბრის გადატრიალება უნდა ყოფილიყო. ჩვენ ეს ბუნებრივათ მიგვაჩნია. ჩვენ მაშინაც ვამბობდით, რადგანაც ჩვენ უარი ვსთქვით ძალა-უფლებაზე, იგი უნდა ჩაიგდონ ხელში ბალშევიკებმათქო.

ამნაირათ ყველა საწინააღმდეგო პასუხზე და ყველა შეკითხვებზე მე უპასუხე მოკლეთ. ჩვენ უნდა მივიღოთ ამ საკითხის შესახებ გარკვეული რეზოლიუცია. უნდა შეუდგეთ მუშაობას, შევაკავშიროთ ძალები რევოლიუციის დასაცავათ. უნდა ვებრძოლოთ როგორც კონტრ-რევოლიუციას მარჯვნით, ისე ანარქიას მარცხნით, თუ გვინდა თავიდან ავიცდინოთ სამოქალაქო ომი, ჩვენში რომ სამოქალაქო ომი გაჩაღდეს—ეს ნამდვილი უბედურება იქნება, ვინაიდან იგი გადაიქცევა ნაციონალურ ომით. საჭიროა რეალური ძალა, უნდა შევადგინოთ წითელი გვარდია გლეხებისაგან და მუშებისაგან. მაშინ ვერც ერთი ბალშევიკი, ვერც ერთი ბალშევიკური სამხედრო ნაწილი ვერ გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლას, როცა დაინახავს, რომ ჩვენ ზურგს გვიმაგრებს შეიარაღებული გლეხობა და მუშები. ადგილობრივი გარნიზონი წითელ გვარდიამ შეაჩერა. ბალშევიკები არწმუნებდენ ჯ.-კ., რომ მუშები მათ (ბალშ.) დაუჭერდა მხარს. მაგრამ როცა ჯარის-კაცებმა დაინახეს, რომ მუშები ბალშევიკებს არ მიყვებოდა, სთქვეს, ჩვენ რაღას ვერევით ამათ საქმეშიო და წავიდენ კიდეც თფილისიდან. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მოგიწოდებთ ადგილობრივ ყველგან შექმნათ შეიარაღებულ მუშების და გლეხების რაზმები და როცა საჭირო იქნება, ეს რაზმები, უნდა გამოიყვანოთ და მაშინ ვერ გაბედავენ მოწინააღმდეგენი ვერავითარ ავანტიურას. მაშასადამე მორიგი საკითხი—ეს რევოლიუციის მომხრე მუშებისაგან და გლეხებისაგან შეიარაღებულ რაზმების შედგენაა. (ხანგრძლივი ტაში).

## უცხოეთი

**საფრანგეთის სოციალისტების მიმართვა რუს სოციალისტებისადმი.** საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის პარლამენტის ჯგუფმა შემდეგი მოწოდებით მიმართა რუს სოციალისტებს:

„ამხანაგებო! ჩვენ არ გვინდა მოგაგონოთ, თუ რა აღფრთოვანებით და იმედით აღსავსე შეხვდენ რუსეთის რევოლიუციას საფრანგეთის ყველა სოციალისტები. და მას შემდეგ ჩვენ პარლამენტის ტრიბუნიდან და ყველა მიტინგებზე და ყრილობებზე ვაცხადებდით, რომ თანახმა ვიყავით ახალ რუსეთის მიერ წამოყენებულ სამართლიან პრინციპების საჩქარო და საფუძვლიანი ზავის ჩამოგდების შესახებ.

არ დაგიფარავთ და გეტყვით, რომ ჩვენ ყველა შეგვაშფოთა იმ ამბავმა, რომ ზოგიერთმა თქვენგანმა მტერთან მოლაპარაკება დაიწყო, რაც შეიძლება სეპარატიული ზავით გათავდეს.

ასეთ შედეგის საშინელება ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთთან სეპარატიულ ზავის შეკვრით ცენტრალური სახელმწიფოები ძალას მოიკრეფს, მოემზადება დანარჩენების დასამარცხებლათ და ძალას დაატანს მოწინააღმდეგებს მიიღოს მათი პირობები, არამედ—ეს გარემოება დეპოკრატიის და სოციალიზმის მტრებს უფლებას აძლევს მიუთითონ რუსეთის რევოლიუციაზე, როგორც მაგალითზე, რომელიც „ხრწნის საზოგადოებას“ და იქ დეზორგანიზაცია შეაქვს.

ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებით იმათ, რომლებიც რევოლიუციონურ რუსეთს სხვადასხვა ბრალდებებს უყენებენ; არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ის შეცდომები, რომლებიც რუსეთის რევოლიუციაში მოხდა, არის თვითმპყრობელობის რეჟიმის შედეგი, რომელმაც მტკიცე ნიადაგი მოუმზადა სიმძულვარეს იმ ადამიანების გულში, რომლებიც იბრძოდენ რუსეთის თავისუფლებისთვის. მეფის მთავრობის რეჟიმმა თვით საფრანგეთშიაც შექმნა რამდენიმე სამწუხარო გაუგებრობა: ფრანგები ფიქრობდენ, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი შეჰკრეს გაბატონებულ კლასების ინტერესებისთვის და ამდენ ბოროტების ჩამდენ თვითმპყრობელობასთან კავშირი ყოვლად მიუღებელიაო. მათ არ ესმოდათ, რომ საფრანგეთის ხალხი ამ კავშირში ეძებდა დახმარებას, იმის შემდეგ, რაც მას თავს დაატყდა 1871 წელს. იგინი, რომელნიც ივიწყებენ ყველა იმას, რაც თქვენ გადაიტანეთ და ამავე დროს ცდილობენ ნდობა დაუკარგონ დემოკრატიას და სოციალიზმს, განგებ არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ სწორეთ მეფის მთავრობამ მოუმზადა ნიადაგი ამ არევ-დარევას, რომ მან მოუტანა მთელ რუსეთს შიმშილი, რომ ის მზათ იყო გაეყიდა რუსეთი და მხოლოდ მარტო ამ მთავრობის ჩამოგდება იყო ერთად-ერთი საშუალება ქვეყნის დაღუპვისაგან დასახსნელათ. ჩვენ უარს არ ვამბობთ, რომ ჩვენი მთავრობა სცდებოდა, როცა ის თავის პოლიტიკაში ხელმძღვანელობდა მეფისა და მისი ბოროტ დამქაშების პოლიტიკით, ჩვენ გვახსოვს აგრეთვე ჩვენი მთავრობის შეცდომები, რომელმაც ხელი შეუშალა ინტერნაციონალის წევრებს თავი მოეყარათ სტოკჰოლმში კონფერენციაზე, რომლის დიდი მნიშვნელობა, ჩვენ გვრწამს, ხელი შეგვიშალა, რო გამოგვეაშკარავებია იგინი, ვინც ეს ომი გამოიწვია და თქვენთან და ყველა ქვეყნის სოციალისტებთან ერთად საჭირო საშუალება გამოგვეძებნა, რომლითაც ძალას დავატანდით ყველა მთავრობას ეღიარებიათ საერთაშორისო უფლების განუსაზღვრელი ავტორიტეტი, ხელშეკრულებათა და უმაღლეს საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს ძალა და მნიშვნელობა. ჩვენმა მთავრობამ ჩვენ საბუთი მოგვცა თქვენთან მჭიდროთ დაახლოვების. ეხლა ის პასუხს აგებს თავის პოლიტიკისთვის, მაგრამ განა შეიძლება ჩვენი მთავრობის შეცდომები შევადაროთ იმ გარემოებას, უკეთუ სეპარატიული ზავი მოხდა? განა დასავლეთის და ამერიკის დიდებული დემოკრატია საშიშ მდგომარეობაში არ იგრძნობს თავს, უკეთუ მას ჩამოშორდა ჩრდილოეთის მისი დიდი მოკავშირე? განა იგინი იძულებული არ იქნებიან უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბონ და ბრძოლა განაგრძონ იმათ სამხედრო და ეკონომიურ გეგემონიის განმტკიცების წინააღმდეგ, რომელთაც ეს ომის გამოიწვევს?

არც გერმანიას და არც მის მოკავშირეებს ჯერაც არ გამოუქვეყნებია ომის მიზნები. ცენტრალურ სახელმწიფოების პროლეტარიატმა ჯერაც ვერ მოიპოვა პოლიტიკური თავისუფლება. საყოველთაო არჩევნების უფლება და პარლამენტალურ რეჟიმის დამყარება ვერაფერი დიდი სასყიდელია მათთვის, რომელთაც თავისუფლების მოსაპოებლათ ბრძოლაში აუარებელი მსხვერპლი შესწირეს. ამგვარათ, ჩვენმა მტრებმაც ვერ გაბედეს და ვერ თქვეს, რომ თანახმა არიან ხალხის თვითგამორკვევის.

საბჭოებმა განაცხადეს: „ჩვენ მოვითხოვთ, რომ გერმანიამ გამოაქვეყნოს ომის მიზნები, ნემეც სოციალისტებმა ჩვენს მაგალითს მიბაძონ და რევოლიუცია მოახდინონო“.

ამ ორ მოთხოვნაზე საბჭოებმა პასუხი ვერ მიიღეს. ზავი უნდა იყოს მტკიცე და სამართლიანი, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ხალხის დემოკრატიულმა ნება-სურვილმა გაიმარჯვოს.

ასეთი ვერ იქნება სეპარატიული ზავი. თუ რუსეთის რევოლიუციამ ეს ჩაიდინა, ამით ის უარჰყოფს თავის საკუთარ ფორმულას ზავის შესახებ.

ეს მორალურათ თავზარს დასცემს საერთაშორისო სოციალიზმს.

რუსეთის სოციალისტები ამას არ მოიმოქმედებენ. რუსეთი ამოვა იმ უფსკრულიდან, სადაც ის ბალშევიკებმა გადაჩეხეს. ჩვენ მუდამ ვიტანჯებოდით, როცა ვხედავდით თქვენ შორის განხეთქილებას და ურთიერთ გაუგებრობას. უკეთუ ეს განხეთქილება კიდევ გაგრძელდა, ჩქარა დაიწყება რეაქცია, რომელსაც დამღუპველი გავლენა ექნება მთელ მსოფლიოზე.

ახალ ცხოვრების შესაქმნელათ რუსეთი მკვიდრ ნიადაგზე უნდა დადგეს. სწორი და უტყუარი გზის ჩვენება შეუძლია მხოლოდ მარტო დამფუძნებელ კრებას. მხოლოდ მას შეუძლია ბოლო მოუღოს უთანხმოებას, მხოლოდ მარტო მას ექნება უფლება იმოქმედოს მთელი ხალხის სახელით.

სეპარატიულ ზავზე უარის თქმა იხსნის რევოლიუციონურ რუსეთის სახელს. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ის მიჰყიდის გერმანის იმპერიალიზმს მათთან ერთად მებრძოლ დემოკრატიას. ყველა მისი სოციალისტური პარტიების გაერთიანებამ უნდა მისცეს მას საჭირო ძალა. მტკიცე რესპუბლიკანურ რეჟიმის შექმნა მკვიდრ საფუძველს დაუდგამს რუსეთის თავისუფლების და წინ წასწევს მთელი მსოფლიოს სოციალიზმს.

ყველა ეს გარემოება ნებას გვაძლევს ჩვენ მოგმართოთ ამხანაგურათ ამ განცხადებით. ამასთან საჭიროთ ვსცნობთ განვაცხადოთ, რომ ჩვენ კარგათ გვესმის თქვენს წინაშე ჩვენი მოვალეობა. საფრანგეთის სოციალისტები არავითარ ისეთ ნაბიჯს არ გადესდგამენ, რომელიც შეასუსტებს საფრანგეთის ჯარის და ხალხის ძალას, და მომავალში ეცდებიან სულიერათ გააძლიერონ იგინი. საფრანგეთს მართლაც თავს დაესხენ და მას სურს სამართლიანი ზავი. რაც შეეხება ჩვენი მთავრობების დაპირებას გადასინჯონ ომის მიზნები, ჩვენ ამას აუცილებელ საჭიროებათ ვსთვლით“.

## მუშათა შორის

**ატენის ხე-ტყის სახერხი ქარხანა.** 28 გიორგობისთვეს მუშათა ცენტრის წარმომადგენლის ვ. ჟღენტის დასწრებით მოხდა ატენის ქარხნის მუშათა კრება, მუშებსა და მწარმოებლის შორის არსებულ უთანხმოების გასარჩევათ. საკითხი გადაეცა გასარჩევათ ცენტრალურ მომრიგებელ კომერას, რომელიც მუშების სასარგებლოდ გადასჭრა ის.

მომენტის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, კრებამ (350 კ.) მიიღო ის რეზოლიუცია, რომელიც გმობს ბალშევიკების მიერ დამფუძნებელ კრების გარეკვას და ნდობას უცხადებს ამიერ კავკასიის კომისარიატის მოღვაწეობას.

ამავე დღეს შესდგა მთელი ატენის აღმასრულებელი კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრო მოწინავე ელემენტები: ხიდისთავის, ატენის, ღვარების და ბონევის. კრებამ განიხილა ტყის დაცვის საკითხი, ამოირჩიეს ტყის მცველები. აქაც მიემხრენ მუშებისაგან გამოტანილ რეზოლიუციას.

ვანო გურული.

## პროვინცია

**სოფელი ძევერა.** (გორის მაზრა). ამისთანა ჩამორჩენილი სოფელი, არა მგონია, რომელიმე საზოგადოებაში იყოს. არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს: სკოლა, ბიბლიოთეკა და სამკითხველო. არ არის ჟურნალ გაზეთები. მართალია ამ სოფელში კოოპერატიული დუქანი არის, მაგრამ არ ყოფნათ უნდა ჩაითვალოს: საქონელი სულ არ არის. ამ ცხრა თვის განმავლობაში, არც ერთი კრება არ გაუმართავთ. თუმცა არიან ამორჩეული კაცები, მაგრამ არაფერს ყურადღებას არ აქცევენ. ძალიან არის გახშირებული ქურდობა და ქალის მოტაცება, არიან დეზერტირებიც. აღარ ინდობენ სოფლის ნაძირალები უკაცო ოჯახსა: ქვრივსა, ობლებსა, და ჯარის კაცის ცოლებსა. ჰპარავენ და ცარცვავენ, რაც მოხვდებათ. რაც შეეხება ქალის მოტაცებას, ჩვეულებრივად გადაიქცა. სამწუხარო ის უფრო არის, რომ თითონ ამორჩეული კაცები უწყობდნენ ხელსა. 30 ოქტომბერს ამხანაგ ჯარის კაცის ფრიდონი ლომიძის მეთაურობით შესდგა მცირე რიცხოვანი დეზერტირების კრება. ამავე ლომიძემ გააკეთა მოკლე მოხსენება მიმდინარე მომენტზე. და მოუწოდა მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ დამფუძნებელი კრების არჩევნებში, და ხმა მიეცათ სოციალდემოკრატების სიისთვის № 1. ამხ. ლომიძემ აუხსნა დეზერტირებს თავისუფლების მნიშვნელობა და დღევანდელი მდგომარეობა. აგრეთვე მოუწოდა წასულიყვნენ თავთავის ნაწილებში თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავათ. რაც შეეხება სურსათს, სამყოფი არის, მხოლოდ მალავენ გლეხები. პური ბზეებში და ქვევრებში აქვთ დამალული. და რომ მიხვიდე პურის სასყიდლათ, დღისით გაგლანძღავენ, როგორ გაბედე და დღისით მოხვედი; თუ ღამე მიხვედი დიდის ხვეწნის შემდეგ შეიძლება მოგცეს, ისიც 8—10 თუმნათ კოდი პური, აგრეთვე სიმინდი ღირს 4 თუმანი კოდი, ლობიო ფუთი 20 მან., კართოფილი ფუთი 6 მან., ღვინო კოკა 15 თუმანი, მუშა ფასობს ზამთარში 2 მან., ზაფხულში 5 მან., ალო ესე იგი მოხვნა, ზამთარში 5 თუმანი, ზაფხულში 6 თუმანი, ერბო გირვან. 6 მან., კარაქი 5 მან., ხახვი ფუთი 18 მან: თქვენ წარმოიდგენთ, მკითხველო, როგორ უნდა იცხოვროს იმ ღარიბ ღატაკმა გლეხმა და ქვრივ ობლებმა, რომელსაც არა ჰყავთ არც ხარი, არც კამეჩი, არც ხვნა და არც თესვა. საჭიროა უსათუოთ დახმარება. თორემ უფრო უარესობა მოელით.

მეთვალყურე ჯარის-კაცი ფ. ლომიძე.

## წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: 21 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე, ზოგიერთი ქამათურების წყალობით კინაღამ საზარელი ამბები დატრიალდა ჩემს ოჯახში: ამ დღეს დილით როსტოვიდან ჩამოვიდა ჩემთან ჩემი სიძე შვილებითურთ. უბინაობის გამო სტუმრები მოვათავსე ჩემსავე ოთახში. ჩემი ოთახის გვერდით ცხოვრობს ოჯახობით ბატონი გურგენიძე, რომელიც სახლის პატრონათ თვლის თავს. ჩემს სახლში არ ყოფნის დროს ბ-ნი გურგენიძე გამომდგარა და ეს ჩემი სტუმრები გაულანძღავს—ბევრი უშვერი სიტყვები დაუხარჯავს. საღამოს, როცა მუშათა დელეგატების ყრილობიდან დავბრუნდი, მაუწყეს ეს სამწუხარო ამბავი. მე თან მომყვა ორი ამხანაგი. ჩემი მისვლის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ საერთო აივანზე, რომელიც გურგენიძის ოთახისაგან გაყოფილია ფარდით, გამოჩნდენ ვიღაც შეზარხოშებული პირები, გურგენიძის ოთახიდან გამოსულნი და დაიწყეს აგურის და ქვების სროლა ჩემი ოთახისაკენ, გადააბრუნეს მაგიდები, ჩამოგლიჯეს ფარდა. მეგონა საქმე ამით გათავდებოდა და ამიტომ ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდენ თავდამსხმელები და შემოამტვრიეს ჩემი ოთახის ერთი ფანჯარა, ამან კი თავზარი დასცა ოთახში მყოფ ბავშვებს და ქალებს—შეიქნა კივილ-ტირილი, ამ დროს მათ თოფები და რევოლვერებიც გაისროლეს, რამაც მცხოვრებლებშიაც გამოიწვია შიშიანობა. ამით, ალბათ, უნდოდათ ჩვენი გარეთ გამოწვევა და რაღაც „ანგარიშების გასწორება“. მაგრამ ჩვენ თავი შევიკავეთ. როგორც იყო, მოვახერხეთ ქუჩისკენ გასავალი ფანჯრის გაღება, საიდანაც გავეშურე მილიციონერის მოსაყვანათ, მაგრამ მილიციონერი თავის „პოსტზე“ არ აღმოჩნდა. გავეშურე პირველი რაიონის ბიუროში, რომ ტელეფონით გამომეწვია მილიციონერი, მაგრამ გზაში მაცნობეს—მილიციონერები მოვიდენო. სამწუხაროთ, ეს მილიციონერი აღმოჩნდა გალეშილი და მასთან, რევოლვერიც ახალი განასროლი ჰქონდა. ის დაატყვევეს წითელ გვარდიელებმა. დიდი ხნის წამების შემდეგ მოგვეშველა ორი მილიციონერი, მაგრამ თავდამსხმელების წინააღმდეგ ვერაფერს გახდენ. საჭირო დარჩა კომისარის, წითელ გვარდიელების გამოწვევა. დატუსაღებული იქნა ხუთი თავდამსხმელთაგანი. დიდი ბრძოლის შემდეგ ერთმა თუ ორმა გაქცევაც მოასწრეს. დატუსაღებულ იქნა გურგენიძე თავის შვილით, ერთიც კიდევ გურგენიძე, მილიციონერი, დიდებულიძე და ხიდურელი. ამის შემდეგ შეყენებულ იქნა სათანადო ოქმი. ის სტუმრები, რომლებიც გადაურჩენ როსტოვის რბევა-სისხლის ღვრას, გზაში განჯის და სხვა „პოგრომებს“ ჩემმა მეზობელმა გურგენიძემ კინაღამ დამირბია; რისთვის? რა დავუშავეთ მას ან მე ან ჩემმა სტუმრებმა? და თუ გინდ დანაშაულიც რომ ვიყო რაიმეში მის წინაშე, ასე მხეცურათ უნდა გამასამართლოს? მეტი გზა აღარ მოგვეპოვება? მე კი, ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ ბ-ნ გურგენიძის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის.

გრიგოლ ცინცაბაძე.

ნაძალადევი, ლოტკის ქ. № 1.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა, დაარსებული
გ. ხაიკინა-შინკარევის
მიერ, თფილისი, მიხეილის პრ., ს., № 76.
ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღისით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი
ნ. პ. რუხაძე
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისა, საღამოს 6-დან 8 საათამდე. მიხეილის პრ., № 78; ბინა 2.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.